



გვ. 2-4

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი კახეთსა და სამეგრელოში იმყოფებოდა



გვ. 5

2025 წლის რთველის პერიოდში სახელმწიფო ხარისხიან და დაბალხარისხიან ყურძენს სხვადასხვა ფასად ჩაიბარებს



გვ. 6



შპს „საქართველოს მელიორაცია“ გიგლთა თამაზაშვილი უხელმძღვანელებს



გარემოს ეროვნულ სააგენტოს ელენე ღუბინაური უხელმძღვანელებს



სოფლის განვითარების სააგენტოს ბიორგი დარჩია უხელმძღვანელებს

გვ. 7



სამომხმარებლო ქსელში არსებული პროდუქცია მაქსიმალურად კონტროლდება, ისევე როგორც ავთენტურად მოწოდება თვითონ საწარმოები

გვ. 8-9



ქართული ღვინის კოკულარიზაცია სართავორის სტრატეგიულ ბაზრებზე

გვ. 11

გეოლოგის დღეს გეოლოგები, სიმბოლურად აპრილის პირველ კვირას აღნიშნავენ, რაც გეოლოგების სავალე სამუშაოების დაწყებას უკავშირდება



ბგის მოჭრაზე კონტროლი გამკაცრდა

გვ. 13



წარმატების ისტორიები!

გვ. 14

პარტოფილის სარეველები



გვ. 15



სიმინდის ჩრდილოეთის ჰელმინტოპოპოროზის მიმართ გამძლე ქართული ჰიბრიდი „ყაზბევი“

გვ. 16



საქართველოს ბიომრავალფეროვნება

• იზხვარი • ბუკიოტი • ჩვეულებრივი მაქცია • ბატკანძარი

მინისტრი კახეთში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ალადაშვილთან ერთად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა, სადაც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებულ საირიგაციო პროექტებს გაეცნო.

მინისტრმა ბოლო ათწლეულის განმავლობაში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის მიმართულებით განხორციელებულ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით, 165 ათას ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი სარწყავი წყლით უზრუნველყოფილია.

„ირიგაცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის მეურნეობის განვითარების ფაქტორივად, შეუძლებელია ირიგაციის სისტემების გარეშე გამართული, მაღალპროდუქტიული



სოფლის მეურნეობის წარმოება. ამისთვის მნიშვნელოვანია ის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც ხორციელდება. დღეის მდგომარეობით, მხოლოდ კახეთში, 135 მლნ ლარის ინვესტიცია არის განხორციელებული. უმნიშვნელოვანესია ახალი პროექტი, რომელსაც მსოფლიო ბანკთან ერთად ვინყებთ, ეს არის 150 მლნ ევროს ღირებულების პროექტი, რომლითაც სისტემის საკმაოდ დიდი ნაწილი იქნება რეაბილიტირებული, განახლებული და რაც, თავისთავად ცხადია, სოფლის მეურნეობის განვითარებას და მაღალპროდუქტიულობას შეუწყობს ხელს“. - აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

მინისტრის განცხადებით, მელიორაციის მიმართულებით ასეთი მასშტაბური და მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის განახლება შესაძლებლობას იძლევა კიდევ უფრო მეტად განვითარდეს სოფლის მეურნეობა, გაიზარდოს პროდუქტიულობა, რაც, თავის მხრივ, პროდუქციის ექსპორტის ზრდას და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლება აქტიურად მუშაობს სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, სადაც მნიშვნელოვანი როლი აქვს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერას.



დავით სონღულაშვილი ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობისა და მარჯვენა მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო. მინისტრი ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა და მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, 131 კილომეტრი სიგრძის გამანაწილებელი სარწყავი ქსელი მოეწყო. აღნიშნულ ქსელში 122 კმ სიგრძის დახურული მილსადენი, ხოლო 9 კმ სიგრძის ღია არხებია.

43,65 მლნ ლარის ღირებულების სარეაბილიტაციო პროექტი მსოფლიო ბანკის (WB) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ქალაქ საგარეჯოს, საგარეჯოსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების 20-ზე მეტ სოფელში 6050 ჰექტარზე მეტ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა.

2024-2029 წლების პერიოდში მსოფლიო ბანკი (WB), საქართველოს მთავრობასთან ერთად, 150 მლნ ევროს ღირებულების საინვესტიციო პროექტს „საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტი“ (GRAIL) ახორციელებს, სადაც საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა 75 მლნ ევროს შეადგენს.



აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლება, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, აქტიურად მუშაობს სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტებზე, სადაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან არსებული მხარდაჭერა.



დავით სონღულაშვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარეს, გამგეობის წევრებს და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა



შეხვედრას კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ალადაშვილი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე დავით ნარმანია და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მინისტრის განცხადებით, წყლის რესურსების ეფექტიანად გამოყენების და ფერმერებისთვის წყლის სტაბილური მიწოდებისთვის მნიშვნელოვანია წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მსოფლიო ბანკის შეჯერებული კონცეფციის საფუძველზე, შიდა სამეურნეო სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მართვის გაუმჯობესების, ფერმერისათვის საჭირო დროს, საჭირო რაოდენობის წყლის სტაბილური მიწოდების და სამართლიანი წყალგანაწილების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სხვადასხვა საირიგაციო სისტემაზე დაგეგმილია წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შექმნა.

საგარეჯოში გამართულ შეხვედრაზე, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების მხრიდან დადებითად შეფასდა საქართველოში პირველი წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის შექმნა. ორგანიზაციის მომსახურების არეალი მოიცავს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის

სოფლებს: გიორგიწმინდა, ნინოწმინდა და წყაროსთავი. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის, დავით ნარმანიას შეფასებით, მარეგულირებელი კომისიის მიერ მიღებული წესები კარგად არეგულირებს როგორც წყალმომხმარებელთა ორგანიზაციებთან, ასევე, საირიგაციო წყლის რეჟიმებთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც ერთ დოკუმენტშია მოქცეული.

„ყველა საჭირო მიმართულებით საუბარი გვაქვს წყალმომხმარებელთა ორგანიზაციასთან. თუკი მათი მხრიდან პრაქტიკაში გამოჩნდება დამატებით რეგულაციის ან მარეგულირებელი ნორმების დაზუსტების საჭიროება, კომისია მუდმივად მზად არის, სამუშაო რეჟიმში განიხილოს ყველა საკითხი“, - განაცხადა დავით ნარმანიამ.

მინისტრი სამეგრელოში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულ დავით ვერავასთან და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორ გიორგი დარჩიასთან ერთად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში იმყოფებოდა, სადაც კომპანიის „ჯიმა ნუთში“ თხილის გადამამუშავებელ საწარმოში მიმდინარე სამუშაო პროცესს გაეცნო

მინისტრი თხილის მწარმოებელ ფერმერებს შეხვდა და მათგან დარგში არსებულ გამოწვევებზე მიიღო ინფორმაცია.

თხილის წარმოება დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი შემოსავლის წყაროა. მინისტრის განცხადებით, ფაროსანა კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება; სამინისტრო წელსაც აქტიურ სამუშაოებს განახორციელებს

მავნებელთან ბრძოლის მიმართულებით, თუმცა, კვლავ მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება ადგილობრივი ფერმერების აქტიურობა.

კომპანიის „ჯიმა ნუთში“ თხილის გადამამუშავებელი საწარმო, სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტის „შელავათიანი აგროკრედიტი“ ფარგლებში, 2020 წელს ამოქმედდა. კომპანიამ საწარმოს შექმნისათვის 2 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა. საწარმოში, სადაც დასაქმებულია 35 ადამიანი, 1500 ტონა გაუტეხავი თხილის გადამამუშავებაა შესაძლებელი. სოფლის განვითარების სააგენტოს ტექნიკური დახმარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, თხილის საწარმოში სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემა BRC დაინერგა. 2022 წლიდან, კომპანია წარმოებული პროდუქციის ექსპორტს ახორციელებს, ძირითადად, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში.

ალსანიშნავია, რომ პროექტის „შელავათიანი აგროკრედიტი“ ფარგლებში, თხილის შენახვა-გადამამუშავების მიზნობრიობით, საქართველოს მასშტაბით, 80 მლნ

ლარზე მეტი ღირებულების სესხებია გაცემული, სადაც სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 24 მლნ ლარს აღემატება. რაც შეეხება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს, აღნიშნული მიზნობრიობით 54,6 მლნ ლარის ღირებულების სესხებია გაცემული, სადაც სოფლის განვითარების სააგენტოს დაფინანსება 16,7 მლნ ლარს აღემატება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უკვე წლებია ფერმერების საჭიროებებზე მორგებულ პროგრამებს ახორციელებს. ეს მხარდაჭერა მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.



დავით სონღულაშვილი ეროვნული სატყეო სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა

შეხვედრას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული დავით ვერავა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე კახა კაკაბაძე და ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი კახა ცერცვაძე ესწრებოდნენ.

მინისტრმა შეხვედრაზე ბოლო დროს განხორციელებულ ღონისძიებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამინისტრო

აქტიურად აგრძელებს მუშაობას გარემოსდაცვითი კონტროლის ეფექტიანობის ამაღლების, საკანონმდებლო ინიციატივებისა და წინადადებების შემუშავების მიმართულებებით.

ალსანიშნავია, რომ ეროვნული სატყეო სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამსახურის ახალი ოფისი რეგიონში 9 მუნიციპალიტეტს ემსახურება. მოქალაქეები განახლებულ სივრცეში ეროვნული სატყეო სააგენტოს ყველა სერვისით სარგებლობენ. სამსახურში დასაქმებულია 94 თანამშრომელი.



დავით სონღულაშვილი: „ქართულ დაფინანსებას მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნა გაზრდილია, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მხარდაჭერილია დაფინანსების როგორც პირველადი წარმოება, ასევე შენახვა-გადამამუშავების მიმართულება“

მინისტრი დავით სონღულაშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულ დავით ვერავასთან და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორ გიორგი დარჩიასთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირში კომპანიის „ლაურუსი“ დაფინანსების გადამამუშავებელ საწარმოში სამუშაო პროცესს გაეცნო და დაფინანსების მწარმოებელ ფერმერებს შეხვდა.

მინისტრმა შეხვედრაზე ბოლო პერიოდში ქართულ დაფინანსებაზე მოთხოვნის ზრდაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დაფინანსების როგორც პირველადი წარმოება, ასევე შენახვა-გადამამუშავების მიმართულებაა მხარდაჭერილი, რაც მომავალშიც შენარჩუნდება.

ალსანიშნავია, რომ საქართველოს მასშტაბით, პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, 2.000 ჰექტრამდე ფართობზე დაფინანსდა დაფინანსების გაშენება, მათ შორის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი ლიდერია, ბაღების გაშენება 1.200 ჰექტრამდე ფართობზეა დაფინანსებული.

კომპანიის „ლაურუსი“ დაფინანსების გადამამუშავებელი საწარმო სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარია. კომპანიამ საქმიანობის განვითარების ეტაპზე არაერთხელ ისარგებლა პროექტით „შელავათიანი აგროკრედიტი“, მიმდინარე სესხის ოდენობა 800,000 ლარს შეადგენს. საწარმოში სეზონურად 130 ადგილობრივია დასაქმებული. გასულ წლებში კომპანია სეზონზე 200 ტონა მშრალ დაფინანსებას აწარმოებდა, ჩინეთის ბაზარზე ქართული დაფინანსების მიმართ გაზრდილი ინტერესის შედეგად საწარმომ მშრალი დაფინანსების წარმოება 300 ტონამდე გაზარდა.

საქართველოს მასშტაბით, დაფინანსების გადამამუშავების მიზნობრიობით გაცემული

შელავათიანი აგროკრედიტი 9,4 მლნ ლარს აღემატება, მათ შორის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დაფინანსების გადამამუშავების მიზნობრიობით გაცემული შელავათიანი აგროსესხების ღირებულება 6,1 მლნ ლარზე მეტია. სესხის პროცენტის სუბსიდირებას სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს.

ალსანიშნავია, რომ წარმოების და საერთაშორისო ბაზარებზე მოთხოვნის ზრდის ფონზე, მზარდია დაფინანსების ფოთლის ექსპორტი. 2024 წელს ექსპორტის ღირებულებამ 34,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 94%-ით აღემატება. მთავარი საექსპორტო ბაზარი ჩინეთია.



დავით სონღულაშვილი
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის
დეპარტამენტის სამეგრელო-
ზემო სვანეთის რეგიონული
სამმართველოს თანამშრომლებს
შეხვდა

მინისტრმა რეგიონული სამმართველოს
ოფისი დაათვალიერა, სამუშაო პროცესს
გაეცნო და თანამშრომლებისგან რეგიონში
არსებული ვითარების, გამოწვევებისა და
სამმართველოს საქმიანობის შესახებ მიიღო
ინფორმაცია.

გარემოს დაცვა საქართველოს მთავრობის
პრიორიტეტული მიმართულებაა,
შესაბამისად, გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის დეპარტამენტისა და მისი
თითოეული რეგიონული სამმართველოს
გაძლიერების უწყვეტი პროცესი
უმნიშვნელოვანესია.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სამეგრელო-
ზემო სვანეთში განსაკუთრებული
ყურადღება ექცევა ისეთ მნიშვნელოვან
მიმართულებებს, როგორცაა უკანონო
ტყისსარგებლობა და ბრაკონიერობა.
სამართალდარღვევების პრევენციის,
გამოვლენის და აღკვეთის მიზნით,
რეგიონული სამმართველოს
თანამშრომლები სამოქმედო
ტერიტორიაზე 24 საათის განმავლობაში
გაძლიერებულ კონტროლს
ახორციელებენ, ამავდროულად,
სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) შემოსულ
თითოეულ შეტყობინებაზე მყისიერ
რეაგირებას ახდენენ.

მინისტრთან ერთად იმყოფებოდნენ
სამეგრელო ზემო სვანეთის სახელმწიფო
რწმუნებული დავით ვერაძე და
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის
დეპარტამენტის უფროსი ლევან ჯღარკავა.



დავით სონღულაშვილი:
„ადგილობრივმა ფერმერებმა
ოპერატიულად და სრულყოფილად
რომ ისარგებლონ სამინისტროს
სერვისებით და პროგრამებით,
რეგიონული სამსახურების როლი
უმნიშვნელოვანესია“

**გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრი დავით
სონღულაშვილი სამეგრელოს რეგიონში
სამინისტროს სისტემაში შემავალი
უწყებების თანამშრომლებს შეხვდა.**

გაფართოებულ შეხვედრას სურსათის
ეროვნული სააგენტოს, სოფლის
მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის,
„საქართველოს მელიორაციის“ და
სოფლის განვითარების სააგენტოს
რეგიონული სამსახურების თანამშრომლები
ესწრებოდნენ.

მინისტრმა აღნიშნული სამსახურების
მნიშვნელობაზე ისაუბრა და თითოეულ
თანამშრომელს მადლობა გადაუხადა
საერთო საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

„იმისათვის, რომ ადგილობრივმა
მოსახლეობამ, ფერმერებმა
ოპერატიულად და სრულყოფილად

ისარგებლონ იმ სერვისებით და
პროგრამებით, რასაც მათ სახელმწიფო
სთავაზობს, რეგიონული სამსახურების
როლი უმნიშვნელოვანესია.
აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში,
რეგიონული სამსახურების გაძლიერების
მიზნით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები
გადაიდგა. ბევრი რამ გაკეთდა,
თუმცა აუცილებლად თვალის უნდა
გავუსწოროთ გამომწვევებსაც, რაც გვაქვს.
მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებში
ფერმერებთან შეხვედრა და მათგან
ინფორმაციის მიღება. ამ ნაწილში
თქვენი ჩართულობა მაქსიმალურად

აქტიური უნდა იყოს, რათა ჩვენი
უნაბლები ფარგლებში მყისიერი და
სწრაფი რეაგირება მოვახდინოთ იმ
გამომწვევებზე, რომელიც არსებობს
როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე
გარემოს დაცვის მიმართულებით“, -
განაცხადა დავით სონღულაშვილმა.
შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეები
კახა კაკაბაძე და ლაშა დოლიძე, აჭარის
სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე,
სამეგრელოს, გურიის, იმერეთის რეგიონების
სახელმწიფო რწმუნებულები, მერები, და
სამინისტროს უწყებების ხელმძღვანელი
პირები ესწრებოდნენ.



დავით სონღულაშვილი:
„ფაროსანასთან ბრძოლის
ეფექტიანობის გაზრდისთვის
მნიშვნელოვანია სამინისტროს,
თვითმმართველობებისა და
ფერმერების ერთობლივი
ძალისხმევა, რათა მინიმუმამდე იქნას
დაყვანილი სასოფლო-სამეურნეო
კულტურების დაზიანება“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრმა დავით სონღულაშვილმა, აბაშის
მუნიციპალიტეტში, სურსათის ეროვნული
სააგენტოს ფაროსანასთან ბრძოლის
მართვის განახლებული რეგიონული
ცენტრი დაათვალიერა და მიმდინარე
წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ
ინფორმაცია მოისმინა.

შეხვედრაზე იმსჯელეს სახელმწიფო
პროგრამით განსაზღვრულ
მავნებელთან ბრძოლის მიდგომებსა
და სამოქმედო გეგმაზე. აღინიშნა,
რომ აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის
ღონისძიებებში სახელმწიფო წელსაც
აქტიურად იქნება ჩართული. ხაზი გაესვა
ადგილობრივი თვითმმართველობის
როლს, რომელთა წარმომადგენლები

ფაროსანასთან ბრძოლის მართვის
ცენტრთან კოორდინაციით
მონაწილეობენ ღონისძიებების
დაგეგმვის, განხორციელების და
მოსახლეობის ინფორმირების
პროცესში.

სამუშაო შეხვედრას გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის მინისტრის
მოადგილეები კახა კაკაბაძე და ლაშა
დოლიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის
მინისტრი ზაზა შავაძე, სურსათის ეროვნული
სააგენტოს, სოფლის განვითარების
სააგენტოს, სოფლის მეურნეობის
ლაბორატორიის, „საქართველოს
მელიორაციის“, ასევე სამეგრელოს, გურიის,
იმერეთის რეგიონების სახელმწიფო
რწმუნებულები, ადგილობრივი
მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები
ესწრებოდნენ.

„ყველა რესურსია მობილიზებული
იმისათვის, რომ ფაროსანასთან
ბრძოლის ღონისძიებები ეფექტიანად
განხორციელდეს. მავნებელთან ბრძოლის
არსებული კომპლექსური მიდგომაა, ყველა
რგოლის, მათ შორის, ადგილობრივი
თვითმმართველობების ჩართულობა,
სოფლის რწმუნებულის დონეზე, თითოეულ

ფერმერთან აქტიური კომუნიკაცია. ვერ
გავყოფთ ზღვარს, რა არის ცენტრალური
ხელისუფლების და ადგილობრივი
თვითმმართველობის გასაკუთრებული
და რა ფერმერის. ფაქტობრივად ეს
არის გამოწვევა, რომლის წინააღმდეგაც
ყველა ერთად უნდა ვიბრძოლოთ, რათა
მინიმუმამდე შევამციროთ სასოფლო-
სამეურნეო კულტურების დაზიანება“, -
აღნიშნა მინისტრმა.

აღსანიშნავია, რომ ფაროსანასთან ბრძოლის
მართვის ცენტრში მობილიზებულია 250-
მდე ერთეული სპეციალიზებული ტექნიკა,
შექმნილია მავნებლის გავრცელების
მონიტორინგის და მოსახლეობის
ინფორმირების სისტემები. განახლდა
და კეთილმოეწყო სივრცეები, სადაც
შესაძლებელია ფერმერებთან და
დაინტერესებულ მხარეებთან საინფორმაციო
შეხვედრების ორგანიზება.



დავით სონღულაშვილი: „რეგიონებში ვიზიტები რეგულარულ ხასიათს მიიღებს - ჩავალთ თითოეულ მუნიციპალიტეტში, რათა უშუალო კომუნიკაცია გვქონდეს ფერმერებთან“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ფერმერებს შეხვდა. მინისტრმა აბაშაში ფაროსანასთან ბრძოლის შტაბი დაათვალიერა და მავნებელთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით ერთობლივი ძალისხმევის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.



„დავინყუთ ვიზიტები რეგიონებში. დღეს აბაშაში ფაროსანასთან ბრძოლის შტაბი გავხსენით და შეხვედრები გავმართეთ სამეგრელოს, იმერეთის, გურიისა და აჭარის რეგიონების წარმომადგენლებთან, ხელმძღვანელებთან და მუნიციპალიტეტების მერებთან.“

მნიშვნელოვანია მათი აქტიური მონაწილეობა ამ გამონვევის დაძლევაში. აუცილებელია ყველა მათგანის ჩართულობა, რათა ერთად შევძლოთ ამ პრობლემის გადაჭრა“. - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ფერმერებთან უშუალო კომუნიკაციის მნიშვნელობაზე, მათი პრობლემების გადაჭრის გზებზე და რეგიონებში აქტიური ვიზიტების აუცილებლობაზე.

„რეგიონებში ვიზიტები რეგულარულ ხასიათს მიიღებს - ჩავალთ თითოეულ მუნიციპალიტეტში, რათა უშუალო

კომუნიკაცია გვქონდეს ფერმერებთან. მნიშვნელოვანია, რომ მოკლე ვადებში ადგილზე გავცნოთ არსებულ გამონვევებს, რომლებიც კონკრეტულ აგროკულტურებს უკავშირდება და შესაბამისი გადანყვებილებით შევძლოთ ეფექტიანობის გაზრდა. აგროსასურსათო პროდუქციის ზრდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია, რაც მოგვცემს შესაძლებლობას, შევინარჩუნოთ ის დადებითი ტენდენციები, რომლებიც საქართველოს ეკონომიკურ ზრდასთან არის დაკავშირებული“, - აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

ნინო თანდილაშვილი არაბთა გაერთიანებული საამიროების საერთაშორისო პალატის ვიცეპრეზიდენტს შეხვდა



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი არაბთა გაერთიანებული საამიროების საერთაშორისო პალატის ვიცეპრეზიდენტს ჰასან ალჰაშემს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძე და არაბთა გაერთიანებული საამიროების ელჩი საქართველოში აჰმედ იბრაჰიმ აჰმედ ტაჰერ ალ ნუაიმი.

წარმომადგენლობითი ბიზნესდელეგაციის ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები განიხილეს.

როგორც მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძემ აღნიშნა, ქვეყნისთვის პრიორიტეტულია ბაზრების დივერსიფიცირება, აგრარულ დარგში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა; შესაბამისად, ბიზნესდელეგაციის ვიზიტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნებს შორის ორმხრივად საინტერესო თანამშრომლობას.

არაბთა გაერთიანებული საამიროების საერთაშორისო პალატის ვიცეპრეზიდენტმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ გაერთიანებული საამიროების მსხვილი ბიზნესმენები დაინტერესებული არიან საქართველოს აგრობიზნესში ინვესტიციების განხორციელებით. საქართველოში სტუმრობა მათთვის საუკეთესო შესაძლებლობა იქნება ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის სრულად გასაცნობად.

შეხვედრას სამინისტროს შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ნინო თანდილაშვილმა ქვეყნებს შორის არსებული პარტნიორული თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა და ამ პროცესში საამიროების ელჩის პირადი დამსახურების საკითხს გაუსვა ხაზი.

მინისტრის პირველმა მოადგილემ ყურადღება გაამახვილა საქართველოში აგრარული დარგის განვითარებისთვის ხელშემწყობ სახელმწიფო პროგრამებზე და საექსპორტო პოტენციალის მქონე სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

შეხვედრაზე მხარეებმა მიმდინარე წლის შემოდგომაზე საქართველოში არაბთა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი სამარყანდის საერთაშორისო კლიმატის ფორუმს დაესწრო



სოლომონ პავლიაშვილი უზბეკეთის რესპუბლიკაში გამართულ მაღალი დონის ღონისძიებას „სამარყანდის საერთაშორისო კლიმატის ფორუმი“ დაესწრო. ფორუმის ფარგლებში მინისტრის მოადგილემ საქართველოს კლიმატის ცვლილების პოლიტიკის კუთხით ქვეყნის პრიორიტეტებსა და მიღწევებზე გაამახვილა ყურადღება.

„საქართველო მზად არის ითანამშრომლოს როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზე კლიმატის მდგრადობისა და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობისთვის. სხვადასხვა პლატფორმა, მათ შორის ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამა, ქმნის მნიშვნელოვან ჩარჩოს ერთობლივი მოქმედებისთვის. მხოლოდ კოორდინირებული ძალისხმევის გზით შეგვიძლია დავძლიოთ ეს გამოწვევები, მივაღწიოთ კლიმატის ცვლილების შერბილების ამბიციურ მიზნებს და შევქმნათ მდგრადი მომავალი ახალი

თაობებისთვის“, - აღნიშნა სოლომონ პავლიაშვილმა.

ფორუმის მიზანს კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის გაძლიერება, ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსების მობილიზება და კლიმატის პოლიტიკის რეგიონული და გლობალური გამოწვევების განხილვა წარმოადგენდა. ფორუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების მიმართულებით რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობას.

„სამარყანდის საერთაშორისო კლიმატის ფორუმი“ უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს აზიის რეგიონის ქვეყნების პრეზიდენტებმა, ევროპის კომისიისა და ევროპის საბჭოს პრეზიდენტებმა, გერმანიის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ლიდერებმა, სხვადასხვა ქვეყნის გარემოს დაცვის მინისტრებმა, საფინანსო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა.

2025 წლის რთველის პერიოდში სახელმწიფო ხარისხიან და დაბალხარისხიან ყურძენს სხვადასხვა ფასად ჩაიბარებს



„ქართული ღვინის წარდგენა როგორც ადგილობრივი, ასევე საექსპორტო ბაზრებზე ვენახიდან იწყება; სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყურძენი იყოს მაღალი ხარისხის. მევენახე ფერმერების მხარდაჭერისთვის, რთველის პერიოდში, სახელმწიფოს უწევს ჭარბი ყურძენის შესყიდვა.“

წელს მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფო ფერმერისგან კვლავ ჩაიბარებს ჭარბ ყურძენს, თუმცა,

შესყიდვის დროს ფასი გვექნება დიფერენცირებული - მაღალ და დაბალხარისხიან ყურძენზე ფასში მნიშვნელოვანი სხვაობა იქნება. ყურძენის ხარისხში, შაქრიანობასთან ერთად, იგულისხმება ყურძენის სიჯანსაღე, რაც დაავადებების არარსებობას ნიშნავს“, - განაცხადა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუბლამ.

როგორც ლევან მეხუბლამ აღნიშნა, ჯერ დამუშავების საგანია მეთოდები, რომლითაც ყურძენს შეფასება მოხდება. ტექნიკურ დეტალებზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს.

„ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ

მოსავალი იყოს ხარისხიანი და, შესაბამისად, ქართული ღვინოპროდუქციის ხარისხიც შეესაბამებოდეს უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებს. ეს არის უალტერნატივო გზა იმისთვის, რომ გაგრძელდეს და შენარჩუნდეს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ბოლო წლების განვითარების დინამიკა“, - განაცხადა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, რთველის ფარგლებში გადამუშავდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო რაოდენობის - 320 ათას ტონამდე ყურძენი, რაც დაახლოებით 45%-ით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.




**შპს „საქართველოს
მელიორაცია“
მიზანმიმართული
ხელშეწყობის
შედეგად**



შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახალი გენერალური დირექტორი გიგლა თამაზაშვილი უწყების თანამშრომლებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა წარუდგინა. გიგლა თამაზაშვილი პროფესიით ჰიდროლოგია. დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, არის გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი.

გიგლა თამაზაშვილი BP საქართველოში, ასევე, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში (GOGC) ტექნიკურ მიმართულებებს ხელმძღვანელობდა. 2017-2019 წლებში კომპანია „ყაბტრანსგაზ-თბილისი“ სპეციალური მმართველი იყო, ხოლო 2019-დან დღემდე, კომპანიის „თბილისი ენერჯი“ ტექნიკურ საკითხებში დირექტორის თანამდებობა ეკავა. პარალელურად, გიგლა თამაზაშვილი სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა სხვადასხვა უნივერსიტეტში.




**გარემოს ეროვნულ
სააგენტოს ელენე
ლუბიანური
შედეგად**



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ელენე ლუბიანური უწყების თანამშრომლებს წარუდგინა. სხვადასხვა დროს ელენე ლუბიანური საქართველოს ენერჯეტის სამინისტროში საერთაშორისო ურთიერთობებისა და საინვესტიციო პროექტების მიმართულებით სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციას იკავებდა; მუშაობდა საკონსულტაციო კომპანია „დელოიტში“ (Deloitte) და ჩართული იყო აშშ-

ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულ პროექტებში, ასევე მუშაობდა თურქულ-ნორვეგიულ ერთობლივ საწარმო „ENKA Renewables LLC“, სადაც ნამახვანი ჰესის ჰიდროელექტროსადგურის პროექტთან დაკავშირებით მთავრობასთან ურთიერთობების მიმართულებას ხელმძღვანელობდა. ელენე ლუბიანურს დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მინიჭებული აქვს მაგისტრის ხარისხი.



**სოფლის
განვითარების
სააგენტოს
გიორგი დარჩია
შედეგად**



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა სოფლის განვითარების სააგენტოს ახალი დირექტორი გიორგი დარჩია უწყების თანამშრომლებს წარუდგინა. გიორგი დარჩიას აქვს საფინანსო ორგანიზაციებში მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის პოზიციაზე დანიშნამდე გიორგი დარჩია იყო აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური

ინოვაციების პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე. აღმასრულებელი მენეჯერის პოზიციაზე მუშაობდა ავღანეთში ქ. ქაბულში, ამერიკულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში „Land O'Lakes“, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა სასოფლო-სამეურნეო პროექტებში. იგი სხვადასხვა დროს მენეჯერულ პოზიციებს იკავებდა საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სსიპ „აწარმო საქართველოში“.

გიორგი დარჩიას განათლება მიღებული აქვს აშშ-ში, ლინკოლნის უნივერსიტეტში, ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით.

**კალიებთან ბრძოლის რეგიონულ პროგრამაში,
სადაც 10 ქვეყანაა ჩართული, საქართველომ
საუკეთესო შედეგები აჩვენა**



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე კახა კაკაბაძემ, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე, კალიებთან ბრძოლის მიმართულებით რეგიონული თანამშრომლობის გაგრძელების საკითხები განიხილა.



შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა პროგრამის „კალიებთან ბრძოლის გაუმჯობესება კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ეროვნულ და რეგიონულ დონეზე“ განხორციელების შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე. მინისტრის მოადგილემ მადლობა გადაუხადა FAO-ს გაწეული ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერისთვის.

„პროგრამამ შესაძლებელი გახადა სასაზღვრო რეგიონებში კალიების გავრცელების კუთხით არსებული სიტუაციების ერთობლივი შეფასება, რაც დაეხმარა მავნებლების მიერ გამოწვეული რისკების შემცირებას და ექსპერტთა რეგიონალური ქსელის ჩამოყალიბებას. პროგრამის ფარგლებში, სურსათის ეროვნულ სააგენტოს გადაეცა მალალი გამავლობის ტექნიკა, რისთვისაც განსაკუთრებულ

მადლობას ვუხდით FAO-ს. ასევე, დაინერგა კალიებთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდები, რაც გულისხმობს ქიმიური პრეპარატების მცირე მოცულობით გამოყენებას; გამოიცადა მალალექტოლოგიური, მათ შორის ბიოლოგიური პრეპარატები, რომლებიც უსაფრთხოა დაცული ტერიტორიებისა და წყალსატევების სიახლოვეს გამოსაყენებლად და გარემოზე მინიმალურ ზეგავლენას ახდენს“, - აღნიშნა კახა კაკაბაძემ.

FAO-ს წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს ჩართულობა რეგიონულ პროგრამაში და აღნიშნეს, რომ საქართველომ საუკეთესო შედეგი აჩვენა.

„საქართველო იყო პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე და არაერთი ინიციატივა სწორედ მისი ჩართულობით დაიწყო. პროგრამაში ჩართულ 10 ქვეყანას შორის საქართველომ საუკეთესო შედეგები აჩვენა და ის სხვა მონაწილეებისთვის სამაგალითო ქვეყანად იქცა. ახლა ჩვენ ვგსურს არა მხოლოდ შევავაზოთ პროგრამის მიღწევები, არამედ დავგვემოთ მომავალი.

დაისახა კალიებთან ბრძოლის სამი ძირითადი მიმართულება - რეგიონული თანამშრომლობის გაგრძელება, მონიტორინგისა და ადრეული შეტყობინების სისტემების გაუმჯობესება და თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის ბიოლოგიური პესტიციდების გამოყენება“, - განაცხადა მარიონ შირისმა, FAO-ს მემცენარეობის და მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის კალიების პროგრამის სპეციალისტმა.

პროგრამა „კალიებთან ბრძოლის გაუმჯობესება კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ეროვნულ და რეგიონულ დონეზე“ საქართველოში 2011 წლიდან ხორციელდება. მისი მთავარი მიზანია რეგიონში კალიების მასობრივი გავრცელების პრევენცია და სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე მავნებლების მიერ მიყენებული ზიანის მინიმიზაცია.

შეხვედრას ესწრებოდნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ბურაბ ჩეკურაშვილი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების ხელმძღვანელები.

დავით სონღულაშვილი: „ჩვენი მიზანია, ხალი ჰევეფოთ ნარმოებაჟი თანამედროვე სტანდარტების დანერგვას და, ჰესაბამისად, უზრუნველყოთ მოხმარებელი უსაფრთხო და ხარისხიანი პროდუქციით“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის, დავით სონღულაშვილის შეფასებით, სამინისტროს მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიება ქართული აგროწარმოების ზრდის ხელშეწყობას და მომხმარებლის ხარისხიანი პროდუქციით უზრუნველყოფას ემსახურება.

„განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კერძო სექტორთან თანამშრომლობა. ის ღონისძიებები, რომელსაც სისტემატიურად ვახორციელებთ, სისტემური კონტროლი იმისთვისაა, რომ ხარისხიანი პროდუქციით იყოს უზრუნველყოფილი მომხმარებლები“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

რძის სექტორში და სარეალიზაციო ბაზრებზე არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნულ სააგენტოში პრესკონფერენცია ჩატარდა, სადაც რძეში აფლატოქსინის თემასთან დაკავშირებულ დეტალებზე კიდევ ერთხელ გაკეთდა განმარტებები და აღინიშნა, რომ ყველა ის პარტია, სადაც დარღვევა იყო, სააგენტოს ზედამხედველობით, სრულად არის ამოღებული ქსელიდან.

სამომხმარებლო ქსელში არსებული პროდუქცია მაქსიმალურად კონტროლდება, ისევე როგორც აქტიურად მონაწილეობა თვითონ სანარმოები

საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზურაბ ჩეკურაშვილმა რძეში აფლატოქსინის თემასთან დაკავშირებული დეტალები ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ განმარტა.

„მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ გამჭვირვალობა, საზოგადოების ინფორმირება, მასთან კომუნიკაცია, როგორც მომხმარებლის ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი, ჩვენი - სურსათის ეროვნული სააგენტოს პრიორიტეტია.

პირველი და მნიშვნელოვანი - კომპანია „სოფლის ნობათის“ რძის კონკრეტულ პარტიებში დაფიქსირებულ აფლატოქსინთან დაკავშირებით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ იმოქმედა საერთაშორისო სტანდარტის და პრაქტიკის შესაბამისად.

დარღვევის გამოვლენისთანავე, საზოგადოებას მივანოღეთ სრული ინფორმაცია. სააგენტოსთან აქტიურად ითანამშრომლა კომპანიამ. შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ყველა ის პარტია, სადაც დარღვევა იყო, სააგენტოს ზედამხედველობით, სრულად არის ამოღებული ქსელიდან.

სააგენტოს მისმართით დაიცვა კითხვა დახლებზე განთავსებულ პროდუქციასთან დაკავშირებით. აქაც კიდევ ერთხელ განვმარტავ - არ

არსებობს არანაირი შეშფოთების საფუძველი.

სამომხმარებლო ქსელში არსებული პროდუქცია მაქსიმალურად კონტროლდება, ისევე როგორც აქტიურად მონაწილეობა თვითონ სანარმოები.

ორიოდ სიტყვით შევეხები რძის და რძის პროდუქციის წარმოებაში არსებულ ვითარებას. ეს ის სექტორია, რომელიც გამოირჩევა მაღალი სტანდარტებით და სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია, რაც კიდევ ერთი წინაპირობაა იმისა, რომ მომხმარებლის ინტერესები უმთავრესი პრიორიტეტია“, - აღნიშნა ზურაბ ჩეკურაშვილმა.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ დარღვევა გამოვლინდა იმპორტირებულ რძეში, შესაბამისად, საბაჟო სამსახურთან თანამშრომლობით, სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, საზღვარზე კონტროლი გამკაცრდება.

პრესკონფერენციას დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლებიც ესრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორებმა 28 მარტს შპს "ვიმ-ბილ-დან საქართველოში" (ს/კ 204546553 (სოფლის ნობათი) სახელმწიფო კონტროლი განახორციელეს.



სააგენტოს ზედამხედველობით აღებული ნიმუშები გაიგზავნა აკრედიტებულ ლაბორატორიაში. ლაბორატორიული კვლევის შედეგად აფლატოქსინ M1-ის გადაჭარბებული ოდენობა დაფიქსირდა ხუთ ნიმუშში; კერძოდ:

- სასმელი რძე საბავშვო, ულტრაპასტერიზებული - 2,5% ცხიმინობით - დამზადების თარიღი: 04.02.2025, ვარგისიანობის ვადა: 03.08.2025;
- სასმელი რძე რჩეული ულტრაპასტერიზებული, 1,5% ცხიმინობით - დამზადების თარიღი: 12.02.2025, ვარგისიანობის ვადა: 11.08.2025;
- სასმელი რძე რჩეული ულტრაპასტერიზებული, 1,5% ცხიმინობით - დამზადების თარიღი: 10.02.2025, ვარგისიანობის ვადა: 09.08.2025;

- სასმელი რძე რჩეული ულტრაპასტერიზებული, 2,5% ცხიმინობით - დამზადების თარიღი: 09.02.2025, ვარგისიანობის ვადა: 08.08.2025;
- სასმელი რძე რჩეული ულტრაპასტერიზებული, 3,2% ცხიმინობით - დამზადების თარიღი: 02.02.2025, ვარგისიანობის ვადა: 01.08.2025.

აფლატოქსინი წარმოიქმნება ობის სოკოებისაგან. აფლატოქსინ B1-ით დაბინძურებული საკვები ხვდება ცხოველის ორგანიზმში, საიდანაც გადადის რძეში და გარდაიქმნება M1 აფლატოქსინად, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

!!! დასახელებული სურსათის პარტიები სარეალიზაციო ქსელიდან სრულად ამოღებულია.

სურსათის ეროვნული სააგენტო ბიძრავთი

სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს მოსახლეობას, თავი შეიკავოს კვერცხისა და ხორცპროდუქტების შეძენისაგან არაორგანიზებულ სავაჭრო ადგილებში, სადაც არ არის დაცული ჰიგიენური ნორმები და რეალიზაციის პირობები.

ხორცის შეძენისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიაქციოთ:

- შენახვისა და განთავსების პირობებს - ხორცი უნდა ინახებოდეს სუფთა, დახურულ მაცივარში, შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით - 2-დან 6-გრადუსამდე, ხოლო შენახვის ვადაა 48 საათი;

- ხორცს არ უნდა ჰქონდეს მუქი წითელი შეფერილობა. ხბოს, ღორისა და ცხვრის ხორცი უნდა იყოს ვარდისფერი;
- ქონი უნდა იყოს მოყვითალო, ერთგვაროვანი;
- ხორცის ზედაპირი უნდა იყოს მშრალი და ზედაპირზე თითის დაჭერისას ნაჭდევი არ უნდა დარჩეს;
- ხორცს არ უნდა ჰქონდეს მუქი ლაქები, გარქოვანებული ნაწილები და ლორწო;

ნუ შეიძენთ ხორცს ისეთ ადგილას, სადაც არ არის დაცული შენახვისა და რეალიზაციის პირობები!

გასაყიდი ხორცის ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- ქვეყნის დასახელება (სადაც მდებარეობს სასაკლაო), სასაკლაოს აღიარების ან

- პირობითი აღიარების ნომერი (სადაც დაიკლა ცხოველი); ასევე დამზადების თარიღი და საათი;
- თუ ხორცი მიღებულია საქართველოში დაბადებული, გაზრდილი ცხოველისგან ("წარმოშობა - საქართველო"), ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს ცხოველის საიდენტიფიკაციო საყურე ნიშნის ნომერი;
- თუ ხორცი იმპორტირებულია, ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს იმპორტიორი ქვეყნის დასახელება;
- სხვადასხვა წარმომავლობის ხორცი (საქონელი, ცხვარი, ღორი, თხა) მაცივარში განცალკევებით უნდა იყოს განთავსებული. ასევე, ცალ-ცალკე უნდა განთავსდეს სხვადასხვა ქვეყნიდან იმპორტირებული ხორციც;
- ეტიკეტი გამოკრული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას იმ მაცივარზე,

რომელშიც ინახება სურსათი. კვერცხის შეძენისას ყურადღება მიაქციეთ:

- შენახვისა და რეალიზაციის პირობებს;
- ვარგისიანობის ვადას;
- ეტიკეტს, რომელზეც დატანილი უნდა იყოს ინფორმაცია კვერცხის წარმოშობის ქვეყნისა და წარმოების თარიღის შესახებ.

გაითვალისწინეთ! - ვეტერინარული ზედამხედველობის გარეშე დაკლული ხორცისა და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტებისგან (რძე, ყველი, თევზი, კვერცხი და ა. შ.) ადამიანის დაავადების რისკი საკმაოდ მაღალია.

მომხმარებელს აქვს უფლება, ფლობდეს უტყუარ და ამომწურავ ინფორმაციას სამომხმარებლო ბაზარზე განთავსებული სურსათის შესახებ.



ტოკიოში ქართული ღვინის დეგუსტაცია საერთაშორისო გამოფენის „Foodex Japan 2025“ ფარგლებში გაიმართა



ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი ტოკიოში მიმდინარე კვების პროდუქტებისა და სასმელების საერთაშორისო გამოფენის „Foodex Japan 2025“ ფარგლებში გაიმართა. ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი ირაკლი ჩოლობარგია უძღვებოდა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი სხვადასხვა კომპანიის როგორც ქვევრის, ისე კლასიკური მეთოდით დამზადებული ღვინოები. დეგუსტაციის ფარგლებში გამართული პრეზენტაცია მოიცავდა ქართული მეღვინეობის კულტურის განვითარების ისტორიას და ღვინის ინდუსტრიის თანამედროვე მდგომარეობას. ღონისძიებას ღვინის იმპორტიორები, საცალო და საბითუმო გაყიდვების აგენტები და ღვინის პროფესიონალები ესწრებოდნენ.

ქართული ღვინის წარდგენას, იაპონიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თეიმურაზ ლეჟავა დაესწრო.

რიგით 50-ე საუბილუო გამოფენა „Foodex Japan“, რომელიც აზიაში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურია, 11-14 მარტს, იაპონიის დედაქალაქში ჩატარდა და მასში ათასობით კომპანიის

წარმომადგენელი მონაწილეობდა. აღნიშნული გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის წარდგენა იაპონიაში პროდუქციის პოპულარიზაციის, ბაზარზე შესვლის და დამკვიდრების, ასევე, დისტრიბუტორი იაპონური კომპანიების მოძიების საუკეთესო გზას წარმოადგენს.

იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული ბაზარია აზიაში, სადაც, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის პირველი მასშტაბური წარდგენა 2014 წელს გაიმართა.



ქართული ღვინის დეგუსტაცია ვარშავაში, ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენის „Warsaw Wine Expo“ ფარგლებში გაიმართა



ღონისძიებას პროფესიონალი სომელიე, პოლონეთის სომელიეთა ასოციაციის წევრი, ვიჩეხ სტარუიცი უძღვებოდა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს, სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის

„People PR“ და პოლონური ღვინის ჟურნალის „Trybunator“ მხარდაჭერით გამართულ დეგუსტაცია-სემინარზე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 10-მდე კომპანიის როგორც ქვევრის, ისე კლასიკური

მეთოდით დამზადებული ღვინოები. ქართული ღვინის დეგუსტაციას სომელიეები, HoReCa სექტორის წარმომადგენლები და იმპორტიორები ესწრებოდნენ.

პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გამოფენა „Warsaw Wine Expo“ 11-13 მარტს გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთი ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, რომელმაც ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში სტაბილურად დაიმკვიდრა ადგილი. ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური უზრუნველყოფით, ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარები პოლონეთში ღვინის პროფესიონალების, ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებისა და მომხმარებლებისთვის მთელი წლის განმავლობაში გაიმართება.



გერმანიის ქალაქ დუსელდორფში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა გაიმართა



Internationale Fachmesse Weine und Spirituosen



ღვინის ეროვნული სააგენტოს და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში ProWein Dusseldorf ქართული ღვინის მწარმოებელი 24 კომპანია მონაწილეობდა.

სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ანა აბულაძე, სააგენტოს და საელჩოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად, გამოფენის „Prowein“ დირექტორს, პეტერ შმიტცს შეხვდნენ. შეხვედრაზე დადებითად შეფასდა 25-წლიანი ორმხრივი თანამშრომლობა,

მხარეებმა ასევე იმსჯელეს სამომავლო გეგმებზე.

გამოფენის ფარგლებში, პრესტიჟული გერმანული მედია ჰოლდინგის „Meininger“ კონფერენციაზე ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ მოეწყო ქართული

ღვინის ბრენდირებული სტენდი, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 24 კომპანიის 300-მდე ბოთლი ღვინო, გაიმართა პროფესიული დეგუსტაცია, რომელსაც ქართული ღვინის ექსპერტი ინგე მაინცერი (Inge Mainzer) უძღვებოდა.

ProWein Dusseldorf-ზე გამართულ ქართული ღვინის კიდევ სამ დეგუსტაციას ცნობილი გერმანელი ინფლუენსერი და სომელიე ტონი ასკიტისი (Toni Askitis) უძღვებოდა.

გამოფენის ფარგლებში, ლევან მეხუბლამ შეხვედრები გამართა ღვინის პროფესიონალებთან, სხვადასხვა მარკეტინგული კომპანიის, პარტნიორი ორგანიზაციისა და მედიაჰოლდინგის წარმომადგენლებთან.

გერმანიის ქალაქ დუსელდორფში გამართულ სამდღიან გამოფენაზე, ქართული ღვინის შეფასების შესაძლებლობა ღვინის პროფესიონალებს, კომერციული სექტორის წარმომადგენლებს და გამოფენის ათასობით სტუმარს მიეცა, რასაც საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისა და გაყიდვების ბრდისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს გამოფენაში „ProWein Dusseldorf“ საქართველოს მონაწილეობის საუბილუო 25 წლისთავი აღინიშნა, რომლის ფარგლებშიც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუბლა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და



ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა ლონდონში, ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTC) სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდა

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში, 20-21 მარტს გამართულ WWTC-ის ყოველწლიურ შეხვედრაზე განხილული იყო ღვინით ვაჭრობის რეგულაციების და ელექტრონული სერტიფიცირების საკითხები.

მონაწილეებმა იმსჯელეს WWTC-ის როლზე უაღკოპოლო და დაბალაღკოპოლიანი სასმელების ვაჭრობის ხელშეწყობაში, მათ შორის, ევროკავშირის ბაზარზე ღვინის ეტიკეტირების მოთხოვნებზე.

ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფი (WWTC) ღვინის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანებაა და საქართველოსთან ერთად, მისი წევრები არიან აშშ, არგენტინა, ავსტრალია, კანადა, ჩილე, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და ურუგვაი. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ღვინით ვაჭრობის გამარტივება, ღვინით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა და სავაჭრო ბარიერების მოხსნისათვის ერთობლივი ქმედებების განხორციელება.

„ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფში საქართველოს მონაწილეობის



ძირითადი მიზანია ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის გაზრდა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება. ჯგუფის ორდღიანი მუშაობის ფარგლებში, მსჯელობა გვექონდა სხვადასხვა სავაჭრო ბარიერზე და იმ გზებზე, თუ როგორ შეიძლება გავუადვილოთ ღვინის მწარმოებლებს ამ ბარიერების გადალახვა.

ლონდონში გამართული WWTC-ის შეხვედრა პროდუქციული იყო; შესაბამისად, გადაიდგმება ნაბიჯები,

რათა კიდევ უფრო მეტი ქართული უნიკალური და ხარისხიანი ღვინო გაიყიდოს საერთაშორისო ბაზრებზე“, - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა.

ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფს (WWTC) საქართველო 2023 წლის 1 მაისიდან, როტაციის პრინციპით, ერთი წლის ვადით თავმჯდომარეობდა. წევრი ქვეყნების მხრიდან ქართული მხარის საქმიანობა დადებითად შეფასდა. ამჟამად, WWTC-ის თავმჯდომარე ქვეყანა ავსტრალიაა.



ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 10 კომპანია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოფენაში „Fine Wine Hotel Exhibition“ მონაწილეობდა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ჩენგდუში გამართულ გამოფენის „Fine Wine Hotel Exhibition“ ფარგლებში ასევე გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი, რომელსაც ღვინის მაგისტრი ფონგი ვოკერი უძღვებოდა. ღონისძიებას 100-მდე სტუმარი, მათ შორის, ღვინის პროფესიონალები, იმპორტიორები, ჰორეკა სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია წარმოადგენს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გამოფენაში ქართული კომპანიების მონაწილეობა, ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებას,

ახალი პარტნიორების მოძიებასა და საექსპორტო პოზიციების გაძლიერებას შეუწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი ქართული ღვინის ერთ-ერთი გამოკვეთილი სტრატეგიული ბაზარია, სადაც 2013 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს მარკეტინგული კამპანია.



ღვინის ეროვნული სააგენტო აშშ-ში ქართული ღვინის მარკეტინგულ კამპანიას კიდევ უფრო მამუტაბურს გახდის



ქართული ღვინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ბაზარზე - აშშ-ში, მისი ცნობადობისა და პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ამერიკულ მარკეტინგულ კომპანიასთან - „Colangelo & Partners“ ხელშეკრულება გააფორმა.

მიმდინარე წელს, კომპანიის „Colangelo & Partners“ ორგანიზებით და ღვინის ეროვნული

სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, დაგეგმილია ქართული ღვინის მარკეტინგული კამპანია, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ მიმართულებებს ქართული ღვინის აშშ-ის ბაზარზე მოთხოვნისა და გაყიდვების ზრდის უზრუნველსაყოფად. არსებული აქტივობების პარალელურად, გაძლიერდება მომხმარებელზე ორიენტირებული ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ქართული ღვინის

პოპულარიზაციასა და ამერიკელი მომხმარებლების ჩართულობის ზრდას.

„Colangelo & Partners“-ის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, აშშ-ის სხვადასხვა ქალაქში გაიმართება დეგუსტაცია-სემინარები ღვინის პროფესიონალებისა და ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებისთვის. ასევე, ქართული ღვინო წარმოდგენილი იქნება საერთაშორისო გამოფენებზე, განხორციელდება მიზნობრივი სარეკლამო და მედია კამპანიები. გარდა ამისა, მედიის, სოციალური მედიის და გაყიდვების სფეროს წარმომადგენლებისთვის მოეწყობა ღვინის ტურები საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს ქართული ღვინის უკეთ გაგნობასა და პოპულარიზაციას ამერიკულ ბაზარზე.

2022 წლიდან, მარკეტინგული კომპანია „Colangelo & Partners“ ქართულ ღვინოს აშშ-ის ბაზარზე ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტის ფარგლებში უწევს პოპულარიზაციას. ამ პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა ქართული ღვინის ექსპორტის მზარდი ტენდენცია. 2024 წელს ექსპორტმა 1,2 მილიონ ლიტრს მიაღწია, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 32%-ით აღემატება.

აშშ ერთ-ერთი ყველაზე მაღალფასიანი ბაზარია ქართული ღვინისთვის. აქ ერთი ლიტრი ღვინის საშუალო ფასი 6 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს, რაც ქართული ღვინის მაღალი ხარისხისა და მოთხოვნის ზრდაზე მიუთითებს.

აშშ-ში, TEXSOM-ის ღვინის საერთაშორისო კონკურსში ქართულმა ღვინოებმა 31 მედალი მოიპოვა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners“ ორგანიზებით, ტექსასის შტატის სომელიეთა კონფერენციის (TEXSOM) ღვინის საერთაშორისო კონკურსზე საქართველომ ჟიურის 1 სპეციალური ჯილდო, 2 ოქროს, 13 ვერცხლის და 15 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა (დეტალური

ინფორმაცია გამარჯვებული ღვინოების შესახებ იხილეთ ბმულზე: <https://texsom.com/results/>). აღსანიშნავია, რომ გასულ, 2024 წელს TEXSOM-ის კონკურსზე მედლები 25-მა ქართულმა ღვინომ დაიმსახურა.

ქართული ღვინის წარმატება მსგავს საერთაშორისო პრესტიჟულ კონკურსში მიანიშნებს მის რეპუტაციასა და მაღალ ხარისხზე, ასევე, ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაციას და გაყიდვების ზრდას.

TEXSOM-ის კონკურსზე წარდგენილი იყო სხვადასხვა ქართული კომპანიის ის 50 ქართული ღვინო და ბრენდი, რომლებიც აშშ-

ის ბაზარზე უკვე იყიდება.

ტექსასის სომელიეთა კონფერენცია TEXSOM 2005 წელს დაარსდა ადგილობრივი სომელიეებისთვის პროფესიული სტანდარტებისა და განათლების ამაღლების მიზნით. კონფერენცია შემდგომ ღვინის სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ღონისძიება გახდა. 2014 წლიდან კონფერენციას დამატა ყოველწლიური საერთაშორისო ღვინის კონკურსი, რომლის ჟიურის შემადგენლობაშიც არიან ღვინის პროფესიონალები და სომელიეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

აღსანიშნავია, რომ მარკეტინგული კომპანია „Colangelo & Partners“ ქართულ ღვინოს აშშ-

ის ბაზარზე ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტის ფარგლებში 2022 წლიდან უწევს პოპულარიზაციას. ამ პერიოდში დაფიქსირდა ქართული ღვინის ექსპორტის მზარდი ტენდენცია. 2024 წელს ექსპორტმა 1,2 მილიონ ლიტრს მიაღწია, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 32%-ით აღემატება.





მასივარაგენტიან აბიოსფეროში გავრქვევის რეგულირება - ვალდებულებები, კონტროლი და სამართალდარღვევების სტიპისტიკა

საქართველო-ევროკავშირის ასოციაციის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების ევროპულ მოთხოვნებთან დაახლოებასთან ერთად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ერთ-ერთი ამოცანაა მაცივარაგენტზე მომუშავე სტაციონარული მოწყობილობის მფლობელის, ჰაერის კონდიციონერისა და სამაცივრო მოწყობილობების ან თბური ტუმბოების მომსახურე პირების მიერ ვალდებულებათა შესრულების კონტროლი. კონტროლის მიზანი, ატმოსფეროში მაცივარაგენტის გავრქვევის მინიმუმამდე დაყვანაა.

რა ზიანს აყენებს მასივარაგენტი გარემოს და რას გულისხმობს მონრეალის ოქმი

მაცივარაგენტი ქიმიური ნივთიერება ან ნივთიერებათა ნარევი, რომელიც ცირკულირებს თბურ ტუმბოსა და სამაცივრო კონტურში და გადააქვს სითბო დაბალი ტემპერატურის მქონე საგნიდან ან გარემოდან უფრო მაღალი ტემპერატურის მქონე გარემოში. მაცივარაგენტები (ფრეონები) გამოიყენება ავტომობილების კონდიციონერების დანადგარებში, საყოფაცხოვრებო და კომერციულ სამაცივრო ტექნიკაში, ჰაერის კონდიციონერების სისტემებში, თბური ტუმბოების მოწყობილობებში. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ მაცივარაგენტები აღწევენ სტრატოსფეროში და საფრთხეს უქმნიან ოზონის შრეს, რომელიც იცავს დედამიწას მზის ულტრაიისფერი გამოსხივებისგან, რაც ადამიანებში იწვევს კანის კიბოს, კატარაქტას, იმუნური სისტემის მოშლასა და სხვა დაავადებებს. სტრატოსფეროში მოხვედრილი მაცივარაგენტები მუშაობს, როგორც ოზონის მოლეკულების დაშლის კატალიზატორი. სწორედ ამიტომ, 1985 წელს ოცმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ოზონის შრის დაცვის შესახებ ვენის კონვენციას. 1987 წელს კი 43 ქვეყნის ხელმოწერით, გაფორმდა მონრეალის ოქმი, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საერთაშორისო შეთანხმებად ითვლება. მონრეალის ოქმით დადგინდა ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების ხმარებიდან ამოღების ეტაპობრივი გრაფიკი. შემდგომში ამ ხელშეკრულებებს პრაქტიკულად მთელი მსოფლიო შეუერთდა. მონრეალის ოქმის ხელმოწერის შედეგად, შემცირდა ოზონის დამშლელი ფრეონების წარმოება, რაც ხელს უწყობს ოზონის ფენის აღდგენას დედამიწის ზედა ფენაში.

საქართველო მსოფლიოს იმ 190-ზე მეტ ქვეყანას შორისაა, რომელსაც რატიფიცირებული აქვს ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებათა შესახებ მონრეალის ოქმი. ოქმით ნაკისრი ვალდებულება, საქართველოს ტერიტორიაზე ეტაპობრივად შემცირდეს ან შეწყდეს ისეთი ქიმიური ნივთიერებების წარმოება და გამოყენება, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ოზონის შრეზე.

მასივარაგენტიან მფლობელების ვალდებულებები

მონრეალის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გასცემს. ნებართვის მისაღებად,

სამინისტროსთვის წარსადგენ განცხადებას, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა, უნდა ერთვოდეს დამატებითი ინფორმაციაც, მაგალითად ისეთი, როგორიცაა: მონრეალის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერების დასახელება, რაოდენობა (წონა), შემადგენლობა, შეფუთვის ფიზიკური აღწერა, წარმოშობის სერტიფიკატი და ა.შ. სანებართვო პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

2024 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა მაცივარაგენტების ატმოსფერულ ჰაერში გავრქვევის რეგულირების, მაცივარაგენტზე მომუშავე სტაციონარული მოწყობილობის მფლობელებისა და სერტიფიცირებული პირების უფლება-მოვალეობები და მათ მიერ ვალდებულებათა კონტროლის წესი. ამოქმედდა მაცივარაგენტების მართვის ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი ელექტრონული ჟურნალების წარმოების ვალდებულებები, ნაცვლად ადრე არსებული ქაღალდის ჟურნალებისა.

საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო მაცივარაგენტების იმპორტიორებს, მათ რეალიზატორებს, მემაცივრე ტექნიკოსებს, მომსახურე კომპანიებსა და თბური ტუმბოების, ჰაერის კონდიციონერებისა და სამაცივრო სტაციონარული მოწყობილობის მფლობელებს (3კგ და მეტ მაცივარაგენტზე მომუშავე); ელექტრონულ სისტემაში (www.emoe.gov.ge) რეგისტრირდება და მისი კუთვნილი მაცივარაგენტების მოხმარება უნდა ასახოს თითოეულმა სერტიფიცირებულმა პირმა (მემაცივრე ტექნიკოსმა და ამ სექტორში მომსახურების მიმწოდებელმა ორგანიზაციამ); მაცივარაგენტების იმპორტიორ/ექსპორტიორმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ასახოს მისი იმპორტ/ექსპორტის შესახებ წინასწარი შეტყობინება და მაცივარაგენტების რეალიზაციის შესახებ ინფორმაცია; მაცივარაგენტების რეალიზატორებმა სისტემაში უნდა ასახონ მაცივარაგენტების ყიდვა/გაყიდვის შესახებ ინფორმაცია.

უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურების (მათ შორის, მონტაჟისა და დემონტაჟის) უფლება აქვს მხოლოდ სერტიფიცირებულ პირს; სერტიფიცირების ვალდებულება ეკისრება ყველა ფიზიკურ, იურიდიულ პირსა თუ ინდივიდუალურ მეწარმეს, რომელიც ემსახურება ჰაერის კონდიციონერისა და სამაცივრო მოწყობილობებს ან თბურ

ტუმბოებს ან/და ახორციელებს მონრეალის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების შექენას/გასხვისებას, შეგროვებას, რეციკლირებას, აღდგენას ან განთავსებას.

აღნიშნული ვალდებულებების გაცნობის მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი პროგრამის „საქართველოში მონრეალის ოქმის განხორციელების სამოქმედო პროგრამის“ ხელშეწყობით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, 2023-2024 წლებში ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები მეწარმეებთან რეგიონებსა და თბილისში, ასევე დატრენინგდა სამაცივრო და ჰაერის კონდიციონერების სექტორის 150 ტექნიკოსი. პრაქტიკული ტრენინგები გაიმართა მაცივარაგენტებზე მომუშავე სტაციონარული მოწყობილობების ინსპექტირების საკითხებზე, ასევე ტრენინგები ჩატარდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცენტრალური აპარატისა და რეგიონული სამმართველოების ინსპექტორებისათვის.

რა ზარალია მოქმედას სამართალდარღვევის შემთხვევაში

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თბური ტუმბოების, ჰაერის კონდიციონერებისა და სამაცივრო მოწყობილობების მფლობელი მეწარმის მიერ არასერტიფიცირებული ფიზიკური პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან/და იურიდიული პირის მომსახურების მიღება გამოიწვევს მეწარმის დაჯარიმებას 1000 ლარით. იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, სამართალდარღვევის 2000 ლარის გადახდა მოუწევს. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თბური ტუმბოების, ჰაერის კონდიციონერებისა და სამაცივრო მოწყობილობების არასერტიფიცირებული ფიზიკური პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან/და იურიდიული პირის მიერ მომსახურება გამოიწვევს არასერტიფიცირებული ფიზიკური პირის ან ინდივიდუალური მეწარმის დაჯარიმებას 400 ლარით, ხოლო იურიდიული პირისა - 1000 ლარით. იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში გაორმაგებული ჯარიმები მოქმედებს.

მონრეალის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის სანებართვო

პირობების დარღვევა გამოიწვევს სამართალდარღვევის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით; ოქმით გათვალისწინებული ნივთიერების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებაზე კი ჯარიმა, აღნიშნული ნივთიერების თითოეულ კილოგრამზე 150 ლარია; ოქმით აკრძალული ნივთიერების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის განხორციელებაზე ჯარიმა აღნიშნული ნივთიერების თითოეულ კილოგრამზე 300 ლარია; მაცივარაგენტის კონტეინერისა და მის შეფუთვაზე მითითებული ინფორმაციის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას თითოეულ კონტეინერზე ან/და შეფუთვაზე 100 ლარით; მაცივარაგენტის კონტეინერის შეფერილობის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას თითოეულ კონტეინერზე 25 ლარით; ოქმით გათვალისწინებული ნივთიერების წარმოება გამოიწვევს დაჯარიმებას 10000 ლარით; ამ ნივთიერების დადგენილი წესის დარღვევით შექენა/გასხვისებაზე კი, ჯარიმა აღნიშნული ნივთიერების თითოეულ კილოგრამზე 150 ლარია. ამ შემთხვევაში, სანქცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის იარაღისა და ობიექტის კონფისკაცისა და გულისხმობს. თუმცა, კონფისკაცია შესაძლოა ზემოჩამოთვლილ შემთხვევებშიც მოხდეს.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის“ დარღვევაზე ჯარიმა 500 ლარია. სტაციონარული მოწყობილობის სამაცივრო სისტემის ჰერმეტიკობის დარღვევა, რამაც 1 კგ-მდე მაცივარაგენტის გაჟონვა გამოიწვია, სანქციად, პირველ ჯერზე გაფრთხილებას ითვალისწინებს. განმეორებით შემთხვევაში კი, სამართალდარღვევის ჯარიმის სახით 150 ლარის გადახდა მოუწევს; სტაციონარული მოწყობილობის სამაცივრო სისტემის ჰერმეტიკობის დარღვევა, რამაც 1 კგ ან 1კგ-ზე მეტი მაცივარაგენტის გაჟონვა გამოიწვია, გამოიწვევს დაჯარიმებას მაცივარაგენტის თითოეულ გაჟონილ გრამზე 0,1 ლარით; თბური ტუმბოების, ჰაერის კონდიციონერისა და სამაცივრო მოწყობილობების მომსახურების გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის სხვა მოთხოვნების დარღვევაზე (შეუსრულებლობაზე) ჯარიმა 1000 ლარია. იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში კი, სამართალდარღვევი 2000 ლარით დაჯარიმდება.

!!! გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გასულ, 2024 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის“ მოთხოვნებისა და/ან თბური ტუმბოების, ჰაერის კონდიციონერისა და სამაცივრო მოწყობილობების მომსახურების გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევის 28 ფაქტი გამოავლინეს.

**გეოლოგიის დღეს
გეოლოგები, სიმბოლურად
აპრილის პირველ
კვირას აღნიშნავენ, რაც
გეოლოგების სავსე
სამუშაოების დაწყებას
უკავშირდება**



საქართველოში გეოლოგიის პროფესიული დღე 1965 წლიდან აღინიშნება. ქვეყანაში პირველი გეოლოგიური სამუშაოები 1841 წლით თარიღდება, ხოლო სავსე გეოლოგიური კვლევები და პირველი ნაშრომები 1843 წელს გამოქვეყნდა. მას შემდეგ დარგი მუდმივად ვითარდება.

ქართული გეოლოგიის ფუძემდებლად ალექსანდრე ჯანელიძე მიიჩნევა, რომელსაც განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული და საქართველოში ამ მიმართულებით მოღვაწეობა გასულ საუკუნეში დაიწყო.

გეოლოგიის დარგი საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალფუნქციური, მოიცავს 25-მდე ძირითად მიმართულებას.

გარემოს ეროვნულ სააგენტოში გეოლოგია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგობრივი მიმართულებაა. დღეისათვის, სააგენტოს სპეციალისტების მიერ ხორციელდება გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზავა-ქვათაცვენა) მონიტორინგი, ბუნებრივი საფრთხეების ექსტრემალური გააქტიურების პირობებში, ტერიტორიის ოპერატიულად შეფასება, სტიქიური გეოლოგიური პროცესების გამომწვევი მიზეზების დადგენა, გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციების მომზადება, სახელმწიფო გეოლოგიური რუკების შედგენა და მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი.

ბოლო წლებში ვითარდება მონიტორინგის სისტემები, ინერგება ახალი მეთოდოლოგიები, მოდელირებები, იქმნება გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკები.

საქართველოს ტერიტორიაზე მონიტორინგის სისტემების ქსელის მოწყობის მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს მეწყერულ უბნებზე თანამედროვე აპარატურის ინსტალაცია. ასევე, ქვეყნის მასშტაბით, გეოლოგიური საფრთხეებით დაზიანებული ასეულობით საკარმიდამო მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლების და ინფრასტრუქტურული ობიექტების შეფასება.

გასულ წელს დეპარტამენტის მიერ ქვეყნის სხვადასხვა მხარის მუნიციპალიტეტებიდან, უწყებებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე მომზადდა 1622 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, სადაც

შეფასებულია 2385 დასახლებულ პუნქტში მცხოვრები 4266 მოსახლის (კომლი) საკარმიდამო მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა. გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით, შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები. ქვეყნის მასშტაბით, განხორციელებული გეოლოგიური კვლევების საფუძველზე მომზადდა 1:200 000 მასშტაბის სახელმწიფო გეოლოგიური რუკები, ასევე, მინერალური რესურსებისა და ტექტონიკური რუკების კომპლექტი, შესაბამისი გეოლოგიური ანგარიშით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას

სამიზნე არეალის ფარგლებში არსებული გეოლოგიური პირობების შესახებ. 2024 წელს ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის ქსელის 72 წყალპუნქტიდან ლაბორატორიული ანალიზებისთვის აღებულია 394 სინჯი (142 - ქიმიური, 137 - მიკრობიოლოგიური, 100 - მძიმე მეტალების და 15 - ნავთობპროდუქტების ანალიზისთვის). ასევე, მიმდინარეობდა მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგის ქსელის ავტომატური სადგურებიდან მონაცემების მიღება-კონტროლი. ამ ეტაპზე, გრძელდება ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის ქსელის გაფართოება.



გეოლოგები გიორგი ლომიძე გიორგი გაფრინდაშვილი



**ბზის მოჭრაზე
კონტროლი გამკაცრდა**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ბზის მოჭრაზე კონტროლი გაამკაცრა. ბზის მოჭრა, ამოძირკვა ან ტოტების დაზიანება დასჯადი ქმედებაა. სანქციის ოდენობა გაზრდილია და 500-დან 2000 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში, თუ გარემოსთვის მიყენებული ზიანი 1000 ლარს აღარბეჭდს, საქმეს სისხლის სამართლის კვალიფიკაცია ენიჭება.

ეროვნული სატყეო სააგენტო მოსახლეობას შეახსენებს, რომ ბზის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ კერძო საკუთრებაში არსებული სანერგებიდან და ხელოვნურად გაშენებული პლანტაციებიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ

გაცემული შესაბამისი ადგილწარმოშობის ცნობის საფუძველზე.

„კოლხური ბზა წითელი ნუსხით დაცული სახეობაა და მისი მოპოვება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე აკრძალულია. ეროვნული სატყეო სააგენტო, კიდევ ერთხელ მოუწოდებს

მოსახლეობას, ნუ დაარღვევენ კანონს, რადგან გასული წლების მსგავსად, თითოეულ გამოვლენილ დარღვევაზე გატარდება მკაცრი სანქციები“, - აცხადებს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი კახა ცერცვაძე.

ალსანიშნავია, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე ბზის ხმობა ბოლო რამდენიმე წელიწადია განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს. პათოგენური სოკოს გარდა, კოლხური ბზის ბუნებრივი წარმოშობის კორომებს დიდ საფრთხეს უქმნის ინვაზიური მავნებელი - ბზის ალურა.

ეროვნული სატყეო სააგენტო მართვას დაქვემდებარებულ ტყის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული კოლხური ბზის კორომებში კომპლექსურ ღონისძიებებს 2016 წლიდან ახორციელებს რაც, მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის გარდა, სახეობის საკონსერვაციო ქმედებებსაც მოიცავს. მნიშვნელოვანია, რომ წლების განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, მავნებლის რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია.



გაზაფხულის მახარობლები ლაგოდების ნაკრძალში

გაზაფხული ლაგოდების ნაკრძალში ბუნების ნამდვილი აღორძინებაა – ზამთრის სიცივე ნელ-ნელა ნებდება მზის სხივებს, მიწიდან პირველი ყვავილები ამოდიან და ახალი სიცოცხლის დასაწყისს გვამცნობენ. აქ ყოველწლიურად ბუნება ახალ სიცოცხლეს იძენს, ტყეებში ნაირფერი ყვავილები იშლება და ლაშქრობის მოყვარულებს დაუვიწყარ სანახაობას სთავაზობს.



თეთრყვავილა

- თეთრყვავილა პატარა ზომის მრავალწლოვანი ბოლქვიანი მცენარეა. აქვს ორი, ხაზური ან მოგრძო ხაზური ფოთოლი და გრძელი საყვავილე ღერძი, რომელზედაც მეტწილად ერთი თავჩაქინდრული თეთრი ყვავილია. 17-18 სახეობა გავრცელებულია მცირე აზიაში, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში. 11 სახეობა კავკასიაშია გავრცელებული, აქედან 9 – საქართველოში (ალპური თეთრყვავილა, ლაგოდების თეთრყვავილა,



ბრტყელფოთოლა თეთრყვავილა, ვორონოვის თეთრყვავილა და სხვ.).

ვორონოვის ფურისულა

- ვორონოვის ფურისულა (Primula woronowii) ნაბი იისფერი ყვავილები ტყეს უჩვეულო სინაზეს მატებს. ფურის სიმკვეთრე და ნორჩი ყვავილების სინაზე ბუნების ძალასა და მშვენიერებაზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ფურისულას ყვავილი ყვითელი, წითელი ან იისფერია, უმეტესად ქოლგისებრ ყვავილედშია თავმოყრილი. ცნობილია დაახლოებით 500 სახეობა.



ცისთვალა

- ცისთვალა (Scilla) ცისფერი ხალიჩასავით შლის თავს ტყის ბილიკებზე. ეს ყვავილი თავისი ფაქიზი სილამაზით და ნაზად მოდებული ცისფერი ფერებით ტყეს გაზაფხულის ფერად სამოსელში მოსავს.

ცისთვალას კამკაშა ლურჯი, თეთრი, ცისფერი, მეწამული ან ვარდისფერი ყვავილი აქვს. 60-მდე სახეობა გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებში. საქართველოში 8 სახეობა გვხვდება, მათგან ერთი სახეობა ენდემია. ცისთვალა ძირითადად გაზაფხულზე ყვავილობს.



მრგვალი წამალი

- მრგვალი წამალი (Gymnospermium smirnowii) - ეს პატარა, მაგრამ საოცრად ეფექტური ყვითელი ყვავილი გაზაფხულის ნამდვილი ელჩია – თითქოს მზის პატარა სხივებად არის გადაქცეული და ტყეს განსაკუთრებულ სითბოს მატებს.

მცენარე საქართველოს ენდემია და ის გავრცელებულია კახეთის რეგიონში. მცენარის სიმაღლე 350–1450 მეტრს შორის მერყეობს. დამახასიათებელია ტენიანი, დაბურული ტყეებისათვის. მისი გავრცელების კლასიკური ადგილია ლაგოდების ნაკრძალი,



ნინოსხევის, ლაგოდების ხევისა და სალესავისხევის ხეობები; მრგვალი წამალი გავრცელებულია ასევე მდინარე ალაზნის ჭალის ტყეებში. საკმაოდ იშვიათი მცენარეა.

გაზაფხულზე ლაგოდების ნაკრძალი ნამდვილ ფერად ზღაპარს ემსგავსება. აქაურობა სავსეა ყვავილების ნაირფერი ხალიჩებით, ხეების ფოთლები ნაზად იწყებენ გაშლას, ხოლო ტყე ივსება ჩიტების გალობითა და ბუნების ცოცხალი ხმაურით.

თუ გსურთ, გაზაფხულის ეს მშვენიერება თავად ნახოთ, ეწვიეთ ლაგოდების ნაკრძალს. აქ ბუნება საოცარ სანახაობას გთავაზობთ - ყვავილებით მოფენილი ბილიკები და ულამაზესი ჩანჩქერები დაუვიწყარ შთაბეჭდილებას შეგიქმნით.



ქალი რეინჯერი თამარ ბექაური

„დავიბადე და გავიზარდე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ამლიფში, ალგეთის ეროვნული პარკისა და ბირთვისის ბუნების ძეგლის მიმდებარედ.“

ბაჭვობის დიდი ნაწილი სწორედ ამ ულამაზეს ბუნებაში გავატარე და ჩემთვის განსაკუთრებულად ძვირფასი ადგილია. ბაჭვობიდან მინდოდა ვყოფილიყავი აქაურობის დამცველი.

დღეს მე ვარ რეინჯერი - ადამიანი, რომელიც ყოველდღიურად სიამოვნებით იცავს ბირთვისის ფლორას, ფაუნას და უნიკალურ ლანდშაფტებს. ჩემი მოვალეობაა ტერიტორიის მონიტორინგი, ნაკვალევის შესწავლა, დაზიანებული ხეების აღმოჩენა, ვიბიტორების რაოდენობის აღრიცხვა.

ბირთვისის პოპულარულია როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ მოლამაყრეებში. ყოველთვის მზად ვარ, საჭიროების შემთხვევაში, მათ დახმარება გავუწიო. მე მჯერა, რომ რეინჯერის პროფესია ძალიან მნიშვნელოვანია ბუნების დაცვისთვის, ხოლო ქალების ჩართულობა განსაკუთრებულ სიბლეს სძენს და ხაზს უსვამს იმ ძალას, რომელიც ჩვენ გავვაჩნია“, - თამარ ბექაური, ალგეთის ეროვნული პარკის რეინჯერი.



ნუშის ბალი ბოლნისის მუნიციპალიტეტში



„რამდენიმე წლის წინ, ბაბუს ნაჩუქარ მიწაზე, მე და ჩემმა მეუღლემ ნუშის ბალის გაშენება გადაწყვიტეთ. თავდაპირველად, ჩვენი უცოდინრობის გამო ბევრი ხე გახმა, თუმცა იმედი არ დაგვიკარგავს, ეს ერთგვარი მოტივაციაც კი იყო ჩვენთვის, მეტის გაკეთება მოვიხდომეთ. სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამებით ვისარგებლეთ და სახელმწიფოს დახმარებით, დღეისათვის უკვე ათეულობით ჰექტარ მიწის ნაკვეთზე გვაქვს ბალი გაშენებული“.

- აღნიშნავს კომპანიის „აგრობალავარი“ დამფუძნებელი ქეთევან ისიანი. ბოლნისის მუნიციპალიტეტში, შპს „აგრო ბალავარი“ სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ და „შელავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის მხარდაჭერით ნუშის, კაკლისა და ქლიავის ბაღები 2022 წელს გააშენა. კომპანიამ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 35%-იანი თანადაფინანსებით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაც მიიღო.

გაიცანი მეცნიერი

ელენე მალლაკელიძე

მეხილეობის კვლევის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

„პროფესიის არჩევის დროს აგრონომობაზე არ ვფიქრობდი, მედიცინა მაინტერესებდა და ბავშვობიდან ექიმობაზე ვოცნებობდი. სამედიცინო ინსტიტუტში ვერ მოვხვდი, თუმცა „ექიმი“ მაინც გავხდი, „მცენარეების ექიმი“. ჩემი სპეციალობა მცენარეთა დაცვას, მათ განკურნებას გულისხმობს.



ინსტიტუტის დასრულების შემდეგ, მუშაობა მეხილეობის კათედრაზე დავიწყე და ლაბორანტიდან ასოცირებულ პროფესორამდე, ყველა საფეხური წარმატებით გავიარე. 25 წელი ვმუშაობდი აგრარულ უნივერსიტეტში, სადაც როგორც პედაგოგიურ, ასევე, ადმინისტრაციულ საქმიანობას ვეწეოდი. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სტაჟირება ევროპის არაერთ უმაღლეს სკოლაში გავიარე: ბოკუს უნივერსიტეტი (ავსტრია), პორტუგალიის უნივერსიტეტი (პორტუგალია), ლეიდას უნივერსიტეტი (ესპანეთი), კრენფილდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი); ვმონაწილეობდი სასწავლო კურსში ისრაელში, მაშავის პროგრამის ფარგლებში და სასოფლო - სამეურნეო კვლევასა და ტრენინგებში თურქეთსა და ესტონეთში“.

ელენე მალლაკელიძე:

„სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი საქართველოში ერთადერთი აგრარული მიმართულების სამეცნიერო ინსტიტუტია, რომელიც კვლევითი საქმიანობის გარდა ახორციელებს ბევრ აქტივობას, მათ შორის, გამოყოფილი ფერმერებთან აქტიურ ურთიერთობას, რაც თანამედროვე მიდგომების და ცოდნის გავრცელებას ისახავს მიზნად. სამეცნიერო ცენტრი თანამშრომლობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროებთან, ასევე საქართველოს ეროვნულ და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებთან, უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან, ასევე, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან და შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რაც კიდევ უფრო მეტად ეფექტიანს ხდის ჩვენს მუშაობას“.

სახელმწიფო მხარდაჭერით შექმნილი საწარმო თხილს ევროპაში ყიდის



კომპანიის „ჯეო ნათსი“ თხილის გადამამუშავებელი საწარმო 2018 წლიდან გადამამუშავებს კომპანიის საკუთრებაში არსებული 150 ჰექტარზე გაშენებული თანამედროვე ბაღებიდან მიღებულ თხილს. საწარმოში, ასევე ხდება 5,000-მდე ადგილობრივი ფერმერისგან მაღალი ხარისხის ნედლეულის ჩაბარება.

სახელმწიფოსგან მიღებული დახმარების შედეგად ავაშენეთ საწარმო, - აღნიშნავს კომპანიის „ჯეო-ნათსი“ დამფუძნებელი ჯენერ ბელქანია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში თხილის გადამამუშავებელი საწარმო სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით 2018 წელს ამოქმედდა. შპს „ჯეო ნათსი“ სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების ბენეფიციარია, კომპანია საგრანტო თანადაფინანსებითა და შელავათიანი აგროკრედიტის პროექტით სარგებლობს.

„ვაწარმოებთ მაღალი ხარისხის პროდუქციას. ხარისხიან თხილზე მოთხოვნა მაღალია. ჩვენი პროდუქცია ძირითადად გადის ექსპორტზე გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში.



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოქმედ საწარმოს პროდუქცია ექსპორტზე გააქვს

„რამდენიმე წლის წინ, ქართული ნაციონალური კერძების კონსერვირებული სახით წარმოების იდეა გაგვიჩნდა. სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული კონსერვის, ბრენდის „სადილი“ წარმოება დავიწყეთ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი პროდუქცია არის სრულად ნატურალური, არ შეიცავს დანამატებს და მზადდება მაღალი ხარისხის ნედლეულით“, - აღნიშნავს კომპანიის „ჯეონატურალსი“ დირექტორი მარინა აროშიძე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოქმედი საწარმო, 2016 წელს, სოფლის განვითარების სააგენტოს გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამისა და შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ხელშეწყობით შეიქმნა. „სადილი“ 20-მდე დასახელების კონსერვირებულ პროდუქტს აწარმოებს. საწარმოში 30 ადამიანია დასაქმებული. პროდუქცია ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე ქსელურ მარკეტშია წარმოდგენილი, ასევე გადის ექსპორტზე აზერბაიჯანსა და კანადაში.

საქართველოს ამლიორაცია GEORGIAN AMELIORATION გარდაბნის მუნიციპალიტეტში 2 კილომეტრი სიგრძის მამისტრალური სარწყავი არხი იწყონდება



გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლემშენიერას ტერიტორიაზე მცენარეებისა და შლამისგან 2 კილომეტრი სიგრძის ქვემო მაგისტრალური არხი იწყონდება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს აქტიურად ახორციელებს.

ექსპლუატაციის პროგრამით ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხში წყლის გამტარუნარიანობა გაიზარდა, რაც დაახლოებით 400 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გააუმჯობესებს.

ქვემო ქართლში წყალუზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს.

აღდგენილი საირიგაციო არხის მეშვეობით სოფელ ლემშენიერას მოსახლეობა ისარგებლებს.



კარტოფილის სარეველები



კარტოფილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურაა, მას მეორე პურს უწოდებენ; მისი სამშობლო სამხრეთი და ცენტრალური ამერიკაა. კარტოფილის კულტივირება ამერიკელმა ინდიელებმა ჯერ კიდევ 14 ათასი წლის წინ დაიწყეს, იგი ევროპაში (ესპანეთში) შეიტანეს დაახლოებით მე-16 საუკუნეში, შემდეგ გავრცელდა მრავალ ქვეყანაში.

საქართველოში კარტოფილის ნათესები პირველად მე-19 საუკუნის დასაწყისში თბილისის ახლომახლო გაჩნდა. ამჟამად, იგი მოჰყავთ უმთავრესად ახალქალაქის, ახალციხის, წალკის, დმანისის, თეთრიწყაროს, ხულოს, შუაქვის, ნინოწმინდის და სხვა რაიონებში, ხოლო საადრეო კარტოფილი ძირითადად ბოლნისის რაიონში მოჰყავთ.

კარტოფილი შეიცავს 76,3% წყალს, 23,7% მშრალ ნივთიერებას, 17,5% სახამებელს, 0,5% შაქარს, 1-2% ცილას, 1%-მდე მინერალურ მარილებს, აგრეთვე C, B1, B2, B6, PP და სხვა ვიტამინებს, ასევე მიკროელემენტებს: კალციუმს, მაგნიუმს, თუთიას, სელენს, სპილენძს, მანგანუმს, რკინას, იოდს, დიდი რაოდენობით კალიუმს. კარტოფილისგან აწარმოებენ სახამებელს, სპირტს, აცეტონს, პლასტმასს, ფოტოფირს, წებოვან ნივთიერებებს და სხვა.

კარტოფილი ზიანდება სხვადასხვა მავნე ორგანიზმით, რომელთაგან აღსანიშნავია სარეველა მცენარეები.

სოკარა - GALIUM TRICORNE WITH.



ერთწლიანი, ბალახოვანი, მხოხავი სარეველა მცენარეა ენდროსებრთა ოჯახიდან, სიგრძით 10-60 სმ; ღერო - მარტივი, მხოხავი, ოთხჯახანაგვანი; ფოთლები - ხაზურ-ლანცეტისებრი, რგოლურად შეკრებილი; ყვავილი - მოთეთრო, ყვავილობს აპრილიდან აგვისტომდე; ნაყოფი - კაკლუჭა, მრგვალი, ყავისფერი, ბორცვიანი, დიამეტრით 2-3.5 მმ, თესლი მრგვალი, კაკლუჭისმაგვარი; კარტოფილის გარდა ასარეველიანებს მარცვლოვან და სათოხნ კულტურებს.

თაკვაცხლა - GALEOPSIS TETRAHIT L.



ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლით 50 სმ; ღერო - ძლიერ დატოტვილია, რომელიც დაფარულია უხეში ბუსუსებით; ფოთლები - მოგრძო-კვერცხისებრი, წაწვეტებული, დაკბილული კიდეებით; ყვავილები - მოვარდისფრო; ყვავილობს ივლის-აგვისტოში; ნაყოფი - კაკლუჭა, უკუკვერცხისებრი ფორმის, მონაცრისფრო-ყავისფერი, ზედაპირი მარცვლოვანი, სიგრძე 2.75-3.25 მმ, სიგანე 2-2.25 მმ; ერთ მცენარეზე ვითარდება 100-600 თესლი, მისი სიცოცხლისუნარიანობა 14 წელია.

მინდვრის სპერგულა - SPERGULA ARVENSIS L.



ერთწლიანი, ბალახოვანი სარეველა მცენარეა მისხვისებრთა ოჯახიდან, 15-20 სმ სიმაღლის, დაფარულია ჯირკვლოვანი ბუსუსებით; ფოთლები - ხაზურა; ყვავილები - მცირე ზომის, თეთრი, ყვავილობს ივნისიდან სექტემბრამდე; ნაყოფი - კოლოფი, კვერცხისებრი, თესლი 1,1 მმ დიამეტრის, სფერული, ლინზისებურად შეჭყლეთილი, ყავისფერი, მწიფდება ივლისიდან აგვისტომდე, ერთი მცენარე 10000-მდე თესლს იძლევა; იგი უპირატესობას ანიჭებს მჟავა და ტენიან ნიადაგებს.

მზორილა - MATRICARIA CHAMOMILLA L.



ერთწლიანი ბალახოვანი სარეველა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან სპეციფიკური სუნიით. ფესვი - მთავარღერძა; ღერო - მიშველი, შეუბუსავი, სიმაღლე 15-60 სმ, ძირიდან დატოტვილი; ფოთლები - მორიგეობით განლაგებული, მჯდომარე, ორმაგფრთისებრ დანაკვეთული; ყვავილედ კალათა, დიამეტრით 25 მმ. ნაყოფი ცილინდრული თესლურა ოდნავ მოხრილი, გვერდებთან შეჭყლეთილი, წვრილი, ზედაპირი გლუვი, მუქი მწვანე, მასაში მოვერცხლისფრო - ნაცრისფერი, სიგრძე 0.8 - 1.25 მმ, სიგანე 0.2-0.3 მმ, ერთ მცენარეზე ვითარდება 5000 თესლი. გამოიყენება სამკურნალოდ, აგრეთვე ხალხურ ვეტერინარიაში.

შვრიუკა - AVENA FATUA L.



ერთწლიანი ერთლებნიანი სარეველა მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახიდან, სიმაღლით 120 სმ; ფესვი - ფუნჯა; ფოთლები ლანცეტისებრი; კლიანი მარცვალი თითისტარისებრი, ფხიანი, გარეთა კილი ტყავისებრი, მჭიდროდ ეკვრის მარცვალს, წვეროში გაყოფილია ორად, ფხა მუხლისებრია, მაგარი, გამოდის შუა ნაწილიდან, სიგრძით 12-20 მმ; მარცვალი ცილინდრული, ზედაპირი დაფარულია თხელი, მონაცრისფრო - მოყვითალო ზემოთ მიმართული ბუსუსებით, სიგრძე 6-8 მმ.

ჩვეულებრივი თივაქასრა - POA TRIVIALIS L.



მრავალწლიანი, ბალახოვანი, ფესურიანი სარეველა მარცვლოვანთა ოჯახიდან; ღეროს სიმაღლე 20-100 სმ; ფოთლები რბილი, ბრტყელი, მწვანე ან იასამნისფერ-მომწვანო, სიგანე 2-4 მმ; ყვავილედ საგველა, სიგრძე 6 სმ; მარცვალი - ელიფსოიდური ან მოგრძო, მოწითალო-ყვითელი, სიგრძე 1.3-3 მმ, ერთი მცენარე ივითარებს 1000 მარცვალს.

კალყურაქენა - SOLANUM NIGRUM L.



ერთწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველაა ძალყურძენასებრთა ოჯახიდან, შეიცავს ალკალოიდებს; ფესვი ფუნჯა, ღერო სწორი, დატოტვილი, 30-120 სმ სიმაღლის; ფოთლები მარტივი, მორიგეობით განლაგებული, ოვალურ - კვერცხისებრი, კიდედაკბილული; ყვავილები თეთრი, ვარსკვლავისებრი, შეკრული ნახევარქოლგად, ყვავილობს ივლისიდან აგვისტომდე; ნაყოფი - შავი, წვნიანი კენკრა, მრგვალი, 1 სმ დიამეტრის, მწიფდება აგვისტო-ოქტომბერში; თესლი მომრგვალო, კვერცხისებრი, გვერდებიდან შეჭყლეთილი, ფუძესთან შევიწროებული, ჭიბი გვერდული, სუსტად შესამჩნევი, ზედაპირი ბადისებრი, მოყვითალო-ჩალისფერი, სიგრძე 1.75-2 მმ, სიგანე 1.25-1.5 მმ.

დანდური - PORTULACA OLERACEA L.



ერთწლიანი, ბალახოვანი მცენარეა, სუკულენტო; ღერო - გართხმული, მოწითალო ფერის 10-40 სმ; ფოთლები მჯდომარე, ხორცოვანი; ყვავილი წვრილი, ყვითელი, ყვავილობს ივნისიდან აგვისტომდე; ნაყოფი კვერცხისებრი ან სფეროსებრი კოლოფი, მწიფდება სექტემბერში, თესლი თირკმლისებრი, ოვალურ - მომრგვალო, ზოგჯერ სუსტად დაკუთხული, გვერდებზე შეჭყლეთილი, ზედაპირი სუსტად დაკბილული, ნაკლებად მზინვარე, შავი, მუქი ყავისფერი სიგრძე - სიგანე 0.75-1 მმ. ასრეველიანებს ბოსტნეულ კულტურებს, იზრდება გზის პირეთთან.

საშველა - APERA SPICA-VENTI L.



საშემოდგომო, ერთწლიანი, მარცვლოვანი სარეველა მცენარეა. ფესვი - ფუნჯა; ღეროს სიმაღლე 30-125 სმ; ფოთოლი - ბრტყელი, ხაზურა; ყვავილედ - საგველა; მარცვალი - ლანცეტისებრ-კვერცხისებრი, ვიწრო, ღრმა ღარით, სიგრძე 2.4-0.6 მმ, სიცოცხლისუნარიანობა 1-4 წელია, აღმოცენდება შემოდგომაზე, უპირატესობას ანიჭებს მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგებს.

სიმინდის ჩრდილოეთის ჰელმინთოსპორიოზის მიმართ გამძლე ქართული ჰიბრიდი „ყაზბეგი“



საქართველოში, დღეისთვის, სიმინდის ნათესი ფართობი 80 ათას ჰა-ს აღემატება. აქედან დაახლოებით 60 ათასი ჰა განლაგებულია ტენიან სუბტროპიკულ ზონაში, სადაც ფართოდაა გავრცელებული სიმინდის ფოთლის დაავადება - ჩრდილოეთის ჰელმინთოსპორიოზი, რომელიც ძლიერ აზიანებს შემოტანილ ჰიბრიდებს. დაავადების გავრცელების ვადასა და ხარისხზე დამოკიდებულებით, დაავადებით გამოწვეული მარცვლის მოსავლის დანაკარგი მერყეობს 40%-დან 70%-მდე. გასულ წელს ამ დაავადებამ ბევრი ფერმერი დააზარალა. სწორედ ამიტომ, ამ ზონაში ძირითადად მოჰყავდათ ადგილობრივი სელექციური ჯიშები და ჯიშ-პოპულაციები, რომელთა მოსავლიანობა შედარებით დაბალია, ვიდრე ჰიბრიდების. მოსავლიანობის გაზრდისა და აღნიშნული დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური მეთოდია მალაღმოსავლიანი, დაავადების გამძლე ჰიბრიდების გამოყვანა და წარმოებაში დანერგვა. სწორედ ასეთი ჰიბრიდი, სახელწოდებით „ყაზბეგი“ შექმნილია და იწარმოება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.

სიმინდი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა მსოფლიოში. მისი უნიკალურობა

მდგომარეობს მაღალ პოტენციურ მოსავლიანობაში და გამოყენების უნივერსალურობაში. საქართველოშიც მინდვრის კულტურებს შორის, სიმინდს ვერცერთი კულტურა ვერ უწევს კონკურენციას. საქსტატის მონაცემებით, 2023 წელს ნათესი ფართობი 74.7 ჰა -ს, ხოლო მოსავლიანობა 2.7 ტ/ჰა-ს არ აღემატებოდა. დაბალმოსავლიანობის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ჰიბრიდებით დაკავებულია ფართობის 10-15%, მაშინ, როცა სიმინდის სელექცია მთელ მსოფლიოში ორიენტირებულია ჰეტეროზისის ეფექტის ანუ ჰიბრიდული ძალის გამოყენებაზე. ჰიბრიდების მოსავლიანობა სელექციურ ჯიშებთან შედარებით 35-50%-ით მეტია. ჰიბრიდების გამოყენებით, მსოფლიოში სიმინდის საშუალო მოსავლიანობა 80%-ით გაიზარდა. ნაცვლად 1.4-სა აშუამად არის 4.3 ტ/ჰა. ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: ესპანეთი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ამერიკა მარცვლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 9.5 ტონას აჭარბებს.

საქართველოს სხვადასხვა აგროკლიმატურ ზონაში ჩატარებულმა ფიტოსანიტარულმა მონიტორინგმა გამოავლინა, რომ დაავადების გავრცელების შედარებით ხელსაყრელ 2004 წელს, ჩრდილოეთის ჰელმინთოსპორიოზი აღინიშნა დასავლეთ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში [40-90%] და აღმოსავლეთ საქართველოში ხაშურის მუნიციპალიტეტში [30%]. განვითარების ინტენსივობამ 80-100% შეადგინა.

ამ დაავადებისადმი გამძლეობაზე სელექცია ამერიკასა და რიგ ქვეყნებში დაფუძნებულია მუტანტური Ht გენის გამოყენებაზე. ეს გენი შეჰყავთ ფართოდ გავრცელებულ თვითდამტვერილ ხაზებსა და ჰიბრიდებში. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის

გამოკვლევები მიზნად ისახავდა Ht გენების გამოყენებით გამოგვეყვანა ჩრდილოეთის ჰელმინთოსპორიოზის მიმართ გამძლე მალაღმოსავლეთი, მექანიზირებული, წარმოებისათვის ვარგისი ჰიბრიდები. ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) ჩრდილოეთის ცენტრალური რეგიონის გენეტიკური რესურსების ცენტრიდან (აიოვას შტატი) მივიღეთ *Helminthosporium turcicum* - ისადმი გამძლე გენების დონორები Ht, Ht1, Ht2, Ht3. ეს დონორები წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ვეგეტაციის თვითდამტვერილი ხაზების სახით. ისინი გამრავლდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ და მათ საფუძველზე შეიქმნა ჰიბრიდები.

ჰიბრიდების ცდები ტარდებოდა ტენიან სუბტროპიკულ ზონაში საქართველოს ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტში (ქ. ქობულეთი) ინვაზიურ და ხელოვნურ-ინფექციურ ფონებზე, სენაკში - ბუნებრივ პირობებში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში - წეროვანში და სართიჭალაში. ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად, გამოყვანილი იქნა ჩრდილოეთის ჰელმინთოსპორიოზის მიმართ გამძლე ჰიბრიდი, რომლის დედა ფორმაა ხაზი B73Ht, ხოლო მამა ფორმა ხაზი - LH51. მშობელი ხაზები ამერიკული სელექციისაა, მათი შეჯვარებით მიღებულია ჰიბრიდი სახელწოდებით „ყაზბეგი“. ჰიბრიდი დაპატენტებულია.

ჰიბრიდის მახასიათებლები:

მორფოლოგიური ნიშნები. მცენარე - სიმალე 268 სმ, მიწისზედა მუხლების რიცხვი მთავარ ღეროზე - 17-18. ფოთლების

რაოდენობა მთავარ ღეროზე - 19-20.

ფოთლი - შეფერვა ყვავილობის ფაზაში მწვანე და მუქი მწვანე (მაღალ აგროფონზე), შებუსვა - სუსტი, ცვილისებური ფიფქი სუსტად განვითარებულია, ზედაპირი სუსტად გოფირებულია, ფოთლები ტაროს ზევით აღმამდგომია, ტაროს ქვევით - ნახევრად აღმამდგომი.

ტარო - მიმაგრების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან - 117-120 სმ. ტაროს ფორმა - სუსტი კონუსური, სიგრძე - 22-23 სმ, მარცვალი - ყვითელი, კბილა, 1000 მარცვლის მასა - 315 გრ, ტაროს შემარცვალა - 98%, მარცვლის რიგების რაოდენობა - 16-18, რიგში მარცვლის რაოდენობა - 50, ტაროდან მწიფე მარცვლის გამოსავალი - 84%, მშრალი ტაროს წონა - 230-250 გრ, იფშვნება კარგად, ნაქუჩის ფერი ვარდისფერი.

ბიოლოგიური თვისებები

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა მასიური აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე - 127 დღე, მასიური აღმოცენებიდან რძისებრ სიმწიფემდე - 82 დღე, მასიური აღმოცენებიდან ცვილისებრ სიმწიფემდე - 93 დღე. მცენარეზე ვითარდება ერთი ტარო, არ ახასიათებს ღეროს ჩაწოლა. ფუზარიოზით და ბუშტოვანი გუდაფუშტით ავადდება მცირედ, ფარვანათი ზიანდება სუსტად.

„ყაზბეგი“-ს გავრცელების არეალია დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონა და აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი რაიონები. მოსავლიანობა - 7-9 ტონა მარცვალი ჰექტარზე. ჰიბრიდი პრაქტიკულად გამძლეა ჩრდილოეთის ჰელმინთოსპორიოზის მიმართ. მცენარეთა დგომის ოპტიმალური სიხშირეა 55-57 ათასი ძირი/ჰა, ჰიბრიდი სამარცვლე მიმართულებისაა. ჰიბრიდული თესლის მიღება ხდება სქემით 4:2. ამ სქემის გამოყენებისას, ჰიბრიდული თესლის გამოსავალი ჰა-ზე 66,6%-ია.

ჰიბრიდი „ყაზბეგი“ გადაყვანილია სტერილურ საფუძველზე. მისი მეთესლეობა წარმოებს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში და შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელ ბაზებზე.





საქართველოს ბიომრავალფეროვნება

ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, საქართველოს ბიომრავალფეროვნება საკმაოდ მრავალფეროვანია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველების როგორც ენდემური, ისე სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სახეობები. გაგაცნობთ საქართველოს ფაუნის 4 წარმომადგენელს.



იშხვარი

იშხვარი (Ciconia nigra) - იგივე შავი ყარყატი, ასევე გვხვდება უბრალოდ ყარყატის სახელით, მიეკუთვნება ყარყატისებრთა ოჯახს. ის ძირითადად იზამთრებს სამხრეთ აზიაში, გვხვდება და გავრცელებულია ევრაზიის ტყის ზონებში, მათ შორის საქართველოში. გვხვდება ზაფხულში და გადაფრენისას. ადრე საკმაოდ გავრცელებული იყო ბორჯომ-ბაკურიანის და თეთრიწყაროს მდინარეებში, ალგეთისა და ხრამის ხეობებში. მოგვიანებით შეინიშნებოდა მხოლოდ ხობაფინის, მადათაფისა და ფარავნის ტბების სიახლოვეს. ამჟამად საერთო ჯამში 20-27 წყვილი ბუდობს მტკვრის ჭალის ტყეებში, ალაზნის ჭალაში, ივრის ჭალაში, ხრამის ხეობაში, თრიალეთის ქედის ცენტრალური ნაწილში, კავკასიონზე, რიონის სიახლოვეს. იშხვარი საშუალოდ 4-7 კვერცხს დებს და

დადებისთანავე იწყებს კრუხობას. ბარტყები არაერთდროულად იჩეკებიან, ისინი თეთრი და ნაცრისფერი შეფერილობის არიან და 35-40 დღეში ფეხზე დგომას სწავლობენ, ხოლო საერთო ჯამში, ბუდეში 55-65 დღეს ატარებენ. მშობლები მათ დღე-ღამეში 4-5-ჯერ კვებავენ. იშხვარი ძირითადად იკვებება თევზით, აგრეთვე წყლის მცირე უხერხემლო და ხერხემლიანი ცხოველებით, რომელთაც იჭერს წყალმარჩხ ადგილებში, ყურეებში და წყალსატევებში სეირნობისას. ზამთარში ძირითადად ჭამს მცირე მღრღნელებს, მსხვილ მწერებს, გველებს, ხვლიკებს და მოლუსკებს. იშხვარი მონოგამური ფრინველია, მრავლდება 3 წლის ასაკიდან. ბუდობს წელიწადში ერთხელ, ბუდეს იკეთებს 10-20 მ სიმაღლეზე ძველი, მაღალი ხეების გვირგვინებში ან კლდეებზე.



ბუკიოტი

ბუკიოტი, მიკიოტი, ომიდი (ლათ. Aegolius funereus) - ფრინველი ბუნაირთა რიგისა. გავრცელებულია შუა და ჩრდილოეთ ევროპაში. აზიაში - ურალიდან კამჩატკისა და კურილის კუნძულებამდე, ამიერკავკასიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში.

საქართველოში ბინადრობს მთის წიწვოვან და შერეულ ტყეებში. ვერტიკალურად აღწევს ზღვის დონიდან 1200 მ-მდე. აპრილში დებს 4-6 კვერცხს. კრუხობა 1 თვემდე გრძელდება. მორუხო-მოყავისფრო ბურგზე თეთრი ლაქები აქვს. მუცელი ღია ფერისაა და მუქი ზოლები გასდევს; თვალები და ნისკარტი ყვითელია, ფეხის თითები ბრწყინვალეა მდებარეობს. „სახის დისკო“ სრული და მრგვალია. სასარგებლო ფრინველია. იკვებება მღრღნელებით, იშვიათად წვრილი ბელურასნაირი ფრინველებით.



ჩვეულებრივი მაქცია

ჩვეულებრივი მაქცია (Jynx torquilla) - კოდალასნაირთა რიგის კოდალასებრთა ოჯახის მაქციათა გვარის წარმომადგენელი ფრინველია, რომელიც გავრცელებულია საქართველოში. გადამფრენი, მიმომფრენი ან მობუდარი ფრინველია. ჩვეულებრივი მაქცია მცირე ზომის ფრინველია. ბურგი მორუხო-მურაა, თხემზე წვრილი, განივი მურა წინწკლებით, ხოლო ბურგზე მოშავო-მურა ზოლებით. ეს ზოლები ხშირად ერთმანეთს ერთ მთლიან მუქ ლაქად ერწყმიან. კუდის ზედა მფარავები რუხი-ქვიშისფერია, ნიკაპი, ყელი და ჩიჩახვი - ჟანგმიწისფერი, წვრილი მურა, განივი წინწკლებით. დანარჩენი ქვედა მხარე მოთეთრო ან ჟანგმიწისფერია წვრილი სამკუთხა ლაქებით. საჭის ბუმბულებზე ვიწრო მოშავო და ფართო მორუხო განივი ზოლებია. ფეხები და ნისკარტი ღია ყავისფერია.

კერძოდ ტუნისში, ალჟირსა და მაროკოში. აზიაში ჩვეულებრივი მაქცია ბინადრობს კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში ურალის მთებიდან იაპონიის არქიპელაგამდე. გამოსაზამთრებლად ჩვეულებრივი მაქცია აფრიკის ცენტრალურ ნაწილში მიფრინავს და ზამთარს კამერუნიდან ეთიოპიამდე და სამხრეთით კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიამდე ატარებს.

ჩვეულებრივი მაქცია ტალღისებურად დაფრინავს და აქვს შესანიშნავი უნარი თავი 180°-ით შემობარუნოს. მისი სიგრძე დაახლოებით 15-17 სანტიმეტრია და 25-დან 50 გრამამდე იწონის.

ჩვეულებრივი მაქცია ბუდეს ძირითადად ხის ფულუროებში იკეთებს. ისინი ძირითადად წყვილებად ცხოვრობენ, თუმცა გადაფრენის პერიოდში პატარა გუნდებსაც ქმნიან. ჩვეულებრივი მაქციები გამრავლებისთვის ტერიტორიებს წინასწარ არჩევენ, მდებარი ჩვეულებრივ 6-12 თეთრი ფერის კვერცხს დებს.

ჩვეულებრივი მაქცია ფართოდაა გავრცელებული მთელ ევროპაში, კუნძულ დიდი ბრიტანეთიდან ურალის მთებამდე, აგრეთვე ჩრდილოეთით ნორვეგიიდან სამხრეთის მიმართულებით ხმელთაშუა ზღვის კუნძულებამდე. ის გვხვდება აფრიკაში,

ჩვეულებრივ მაქციათა დასახლებულ პუნქტებთან სიახლოვეს ადამიანისთვის დადებითი ეფექტი აქვს. აღსანიშნავია, რომ ტყეების გაჩეხვა, ქიმიური სასუქების და პესტიციდების გამოყენება ჩვეულებრივი მაქციებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. ჩვეულებრივი მაქცია ძირითადად ჭიანჭველებითა და მცირე ზომის მწერებით იკვებება, თუმცა უარს არ ამბობს არც ხოჭოებზე, ლარვებზე, პეპლებზე, ობობებზე და ხის ბუგრებზე.



ბატკანძერი

ბატკანძერი (Gypaetus barbatus) - იგივე კრავიჭამია, მტაცებელი ფრინველი ქორისებრთა ოჯახის. მისი სხეულის სიგრძეა 100-115 სმ, ფრთების შილილი 245-272 სმ, მასა 5-7 კგ; აქვს გრძელი და ვიწრო ფრთები, რომბისებური ან სოლისებრი კუდი. თავი და მუცლის მხარე მოყვითალო ან მოთეთროა, თუმცა იმის გამო, რომ ხშირად იღებება წითელი ფერის თიხებში, ეს ადგილები მონარინჯისფრო უხდება. ტანი და ფრთები მოშავოა, ზემოდან მონაცრისფრო ელფერით. ნისკარტი და ფეხები - რუხი. გალო თითებამდეა შებუმბული. ნისკარტის ორივე მხარეს ჩამოშვებულია

ჯაგრისებრი ბუმბულის ორი კონა - „წვერი“. ერთი წლის ფრინველის კისერი და თავი შავია. ზრდასრულის შეფერილობას 5 წლის ასაკში ღებულობს. ხმა - დაბალი სტვენა და თავისებური კნავილი.

გავრცელებულია ევროპის, წინა და ცენტრალური აზიისა და აფრიკის მთებში, იშვიათად დაბლობშიც ჩამოდის. საქართველოში გვხვდება სვანეთში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მთათუშეთში, ფშავ-ხევსურეთში, ლაგოდეხის ნაკრძალში, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, ახალციხისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში (4800 მეტრამდე ზღვის დონიდან).

შეწყვილება ნოემბერში იწყება და თებერვლამდე გრძელდება. ბუდობს კლდეებში; ბუდე წარმოადგენს ტოტების გროვას, სადაც ხანდახან ძვლებიცაა შერეული და დაფარულია ბალახით და ხავსით. დეკემბერში ან თებერვალ-მარტში დებს 2, იშვიათად 1 მოთეთრო კვერცხს, ყავისფერი ლაქებითა და წინწკლებით. ინკუბაცია 55-60 დღე-ღამე გრძელდება. მარტვეები იჩეკებიან თებერვლის ბოლოს - მარტის დასაწყისში, რომელთაგან უმცროსს გამოჩეკიდან რამდენიმე დღეში მშობლები კლავენ და ჭამენ. ბატკანძერი იკვებება ძირითადად მკვდარი ცხოველებით, ანუ ლეშით, ასევე მღრღნელებით.